პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24,
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

გარდაიცვალა შვეციის მუშათა მოძრაობის უხუცესი [illegible] დალსტრემი.

შვეციის კოოპერატიული ორგანიზაციები მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის დაუყოვნებლივ აღდგენას.

პროფკავშირების განადგურების შემდეგ, ბულგარეთის მრეწველები შეტევაზე გადავიდენ და შემოიღეს 10 საათის სამუშაო დღე.

ესტონის საქალაქო არჩევნებში პირველ რიგში გადიან კომუნისტები.

იაპონიაში გაფიცვები ფართე ხასიათს იღებენ.

ფინეთის მთავრობა განაგრძობს კომუნისტების დევნას.

№ 288 პარასკევი, 13 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 288

(14)

მიიღება 1924 წლისათვის ხელის მოწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქართვ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მატროსთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე,

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტზე“

ხელის მომწერლებს, რომლებიც შემოიტანენ ხვედრ ფულს წინდაწინვე, დაურიგდებათ შემდეგი

პრემიები:

1) გაზ. „კომუნისტი“-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი“;
2) ალ. წულუკიძე—ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან;
3) ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ;
4) ნ. ლენინი—კარლ მარქსი;
5) ვ. ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსის შესახებ;
6) ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ.

პრემიები იქნებიან შემდეგნაირათ განაწილებული:

ყველა ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ „ჩირაღდანს“

გარდა ამისა

სამი თვის ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ შემდეგ წიგნებს:

1. ნ. ლენინი—კარლ მარქსი;
2. ალ. წულუკიძე—ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან.

ექვსი თვის ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ შემდეგ წიგნებს:

1. ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ;
2. ვ ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსის შესახებ;
3. ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ.

გაზეთი ღირება:

1 თვით 1 მან. და 50 კაპ. ჩერვონცით
2 „ 3 მან. — —
3 „ 4 მან. და 50 კაპ. —
4 თვით 6 მან. ჩერვონცით
5 „ 7 მან. და 50 კაპ. ჩერვონცით.
6 „ 8 მან. და 50 „ „

კოლექტიური ხელის მოწერა: მუშებისათვის, მოსამსახურეთათვის და წითელარმიელებისათვის ღირება 20 პროცენტით ნაკლები.

ტფილისის გარეთ მცხოვრებ ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ხელის მოწერის ფასი ათი კაპეიკის დამატებით თვიურად, გაზეთის გადასაგზავნი ხარჯების დასაფარავად.

0—20

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

გერმანიის მთავრობა „ისვენებს“

ამსტერდამის პროფკავშირები „ირკვევენ“ გერმანიის მუშების მდგომარეობას. მთავრობამ გადასწყვიტა „მოაგვაროს“ ხელფასის საკითხი.

სტინესის მადის წინააღმდეგ გაილაშქრა გზათა მინისტრმა, რომელმაც განაცხადა, „სტინესი სარგებლობს გერმანიის კატასტროფიული მდგომარეობით“-ო.

სოციალ-დემოკრატია იშლება: სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის ორგანიზაციების ყრილობამ უნდობლობა გამოუცხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

სამუშაო დღის საკითხი

სამუშაო დღე ბავარიაში

ბერლინი, 12 დეკ. ბავარიისმთავრობამ გამოაქვეყნა განკარგულება, რომლის ძალითაც სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის მინიმალურათ გამოცხადებულია 8 საათის სამუშაო დღე. ყოველი მოხელე ვალდებულია ადმინისტრაციის მოთხოვნილების თანახმად, იმუშაოს 8 საათზე მეტი და ამისათვის ის არ მიიღებს დამატებით გასამრჯელოს. დროებით დაწესებულია 54 საათის სამუშაო კვირა.

შრომის ხელფასი

სიმშილით მოკვდებიან.

ბერლინი, 12 დეკემბერი. ახლო მომავალში შრომის ხელფასის მოსალოდნელ შემცირების გამო, მოხელეები მეტად აღელვებულნი არიან. პროვინციის კავშირები მოითხოვენ მოხელეთა კავშირების ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარის გადაყენებას, რომელმაც ვერ მოახერხა მოხელეთა ინტერესების დაცვა.

გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტარი მალცანი ფინანსთა მინისტრი ლიუტერისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ მოხელეთა ახალი ჯამაგირები სრულიად მიუღებელია. გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელეებსაც კი, რომელნიც განსაკუთრებულ დამატებების წყალობით ჩაყენებულნი არიან უკეთეს პირობებში, არ შეუძლიათ დათანხმდენ ახალ ჯამაგირებზე, რომელიც მშვიდობიანი დროის შრომის ხელფასის მხოლოდ ნახევარს შეადგენს. იმათ ვისაც ჰყავთ ოჯახები, მოელით სიკვდილი სიმშილის ნიადაგზე.

სტინესის მადის წინააღმდეგ

სტინესის პროექტი რკინისგზების შესახებ.

ბერლინი. 12 დეკემბერი. გზათა სამინისტროს საბჭოს სხდომაზე გზათა მინისტრმა ეზერმა გაილაშქრა სტინესის ჯგუფის წინააღმდეგ, რომელმაც უნდა ისარგებლოს სახელმწიფო რკინისგზათა მძიმე ფინანსიური მდგომარეობით და ჩაიგდოს ისინი თავის ხელში. ეზერი სცდილობს შეუთანხმდეს მრეწველთა იმ ჯგუფს, რომელიც კონკურენციას უწევს სტინესს.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ამსტერდამი და გერმანიის საჭიროებანი.

ბერლინი. 12 დეკემბ. ამსტერდამის ინტერნაციონალმა წინადადება მისცა ერთა ლიგის საბჭოს „გამოიმუშაოს“ საჩქაროთ ღონისძიებები, რომელთა ცხოვრებაში გატარებით ხელს შეუწყობს გერმანიის ხალხის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებას.

სოციალ-დემოკრატიის დაშლა

რატომ იშლება პარტია.

ბერლინი. 12 დეკემბერი. სოციალ-დემოკრატების ბერლინის ორგანიზაციის და აგრეთვე პროფკავშირთა თანამდებობის პირთა თათბირმა გაილაშქრა პარტიის ცეკას პოლიტიკის და რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელმაც მიიღო კანონი მთავრობის უფლებათა გაფართოვების შესახებ.

მომხსენებელმა კრისპინმა განაცხადა, რომ კანონპროექტისათვის ხმის მიცემა სოციალ-დემოკრატების მიერ ამტკიცებს იმას, რომ სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ მთავრობას იმ ბრძოლაში, რომელიც მიმართულია მუშების წინააღმდეგ და თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას მომავალ ამბებისათვის. მოიწონა რა კანონპროექტი, რეიხსტაგმა უარი სთქვა თავის უფლებაზე განიხილოს ბიუჯეტი. მთავრობამ უარი განაცხადა გაეცნო რეიხსტაგისათვის ახალი ბიუჯეტი, რომელიც შედგენილია ოქროს მარკებში; მთავრობამ ბიუჯეტის განხილვა დაავალა რენტენ ბანკს. სოციალ-დემოკრატებს ხმა უნდა მიეცათ კანონპროექტის წინააღმდეგ, რადგან თანახმად ახალი კანონისა, პირველ რიგში შემცირებული იქნება მოხელეების და მოსამსახურეების შრომის ხელფასი. შეძლებული კლასები იხდიან გადასახადს სახით 80 მილ. ოქროს მარკას, მუშები და მოსამსახურეები კი იხდიან 178 მილ. გადასახადების სიმძიმე ახლა მშრომელებს აწვება; მოსალოდნელია ბინის ქირის ახალი გადიდება. აგრარიებზე დადებული გადასახადები, პირიქით, მცირდება 315 მილ. ს.-დემ. ფრაქციის პოზიცია კანონპროექტისადმი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო იმისაგან, გაატარებდა თუ არა მთავრობა ცხოვრებაში ფინანსიურ გაჯანსაღების პროგრამას, გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ უნდა აწარმოოს თავისი საკუთარი პოლიტიკა, მან ბურჟუაზიულ პროგრამას უნდა დაუპირდაპიროს სოციალისტური პროგრამა. „ჩვენ გვინდა ვიყოთ, დაამთავრა კრისპინმა, პარტია, რომელიც იბრძვის წითელი დროშით ხელში“.

კრისპინის შემდეგ გამოვიდა უმრავლესობის წარმომადგენელი ჰილდენბრანდი, რომელიც სცდილობდა გაემართლებია რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის უმრავლესობის პოზიცია; მან აღნიშნა, რომ ნაციონალისტების ცდამ დაენიშნათ ახალი არჩევნები აიძულა სოციალ-დემოკრატები ენერგიული წინააღმდეგობა გაეწიათ ამისათვის. ჰილდენბრანდი რჩევას იძლევა ნუ შექმნიან პარტიაში განხეთქილებას.

თათბირმა ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო კრისპინის მიერ წამოყენებული რეზოლუცია, რომელიც კიცხავს რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის პოზიციას და მოითხოვს გარკვეულ კლასიურ პოლიტიკის წარმოებას სოციალიზმის ინტერესებისათვის.

ინგლისის „ნაპოვნი“ მთავრობა

ბალდვინი ჯერჯერობით რჩება მთავრობის სათავეში.

ჩემბერლენი მოითხოვს კონსერვატორების ძველი ლიდერის ბალფურის დანიშვნას მთავრობის თავმჯდომარეთ. მუშათა პარტია თანახმაა აიღოს ხელში ძალაუფლება.

ძველი თუ ახალი მთავრობა?

ინგლისის კაბინეტის ბედი.

ლონდონი. 12 დეკ. ბალდვინი ჯერჯერობით რჩება მთავრობაში და უცდის ახალი პარლამენტის მოწვევას. ეს გადაწყვეტილება შედეგია მინისტრთა კაბინეტის ერთხმოვან დადგენილებისა, რომელნიც თავის კონსტიტუციურ ვალდებულებათ სთვლიან წარსდგენ ახალი პარლამენტის წინაშე. ასეთ გადაწყვეტილებას მოითხოვდენ უმთავრესათ კონსერვატორთა ბელადები, რომელთაც წამოაყენეს პროტექციონიზმის ლოზუნგი და აიძულეს ბალდვინი დაენიშნა ახალი არჩევნები. ამ წრეებს ძლიერ ეშინიათ იმის, რომ კაბინეტის შედგენა მინდობილი იქნება მაკდონალდს და ფიქრობენ მოახდინონ კაბინეტის განახლება ისე, რომ მან მოახერხოს დარჩენა პარლამენტის ახალ შემადგენლობაშიც.

მაგრამ ასეთი აზრის არ არიან კონსერვატორთა ყველა მეთაურები. „დეილი მეილ“-ი ბეჭდავს საუბარს ჩემბერლენთან, რომელიც მოითხოვს ბალდვინის დაუყოვნებლივ გადადგომას. ჩემბერლენი წინადადებას აძლევს მეფეს იმის შესახებ, რომ მან კაბინეტის შედგენა მიანდოს კონსერვატორთა უხუცეს ბელადს ბალფურს, რომელსაც, ჩემბერლენის სიტყვების თანახმად, შეუძლია, იმედი ჰქონდეს ლიბერალების დახმარების ის ლიბერალების დახმარებით შესძლებს მოახდინოს კაბინეტის რეორგანიზაცია იმ სახით, როგორიც მისაღები იქნება ახალი პარლამენტისათვის. ჩემბერლენი აღნიშნავს, რომ არჩევნებმა დაამტკიცეს მცხოვრებთა უარყოფითი დამოკიდებულება პროტექციონიზმისადმი, და ამიტომ ეს უკანასკნელი უარყოფილი უნდა იქნეს.

„დეილი მეილ“-ი იტყობინება, რომ ასკვიტი დაპირდა ჩემბერლენს არ დაუცადოს პარლამენტის მოწვევას და იმოქმედოს ახალი საყოველთაო არჩევნებისათვის დანიშვნის სასარგებლოთ, იმ შემთხვევაში, თუ ბალდვინი გადადგება.

საარჩევნო კამპანიისათვის

ლონდონი. 12 დეკემბერი. ხმების დათვლა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. არსებული ცნობების თანახმად, კონსერვატორებმა მიიღეს 5 ნახ. მილ. ხმა, მუშათა პარტიამ 4 ნახ. მილ., ლიბერალებმა—4 255.000, დანარჩენმა პარტიებმა—265.000

მუშათა პარტიის პოზიცია

ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის საკითხი.

ლონდონი. 12 დეკემბერი. ლიბერალური პრესა მოითხოვს მუშათა პარტიასთან თანამშრომლობას, მაგრამ ეს უკანასკნელი კატეგორიულ უარს ამბობს ამაზე. „დეილი ჰერალდ“-ი აღნიშნავს, რომ მუშათა პარტია მზად არის აიღოს ხელში ძალაუფლება იმ მიზნით რომ მიიღოს დაუყოვნებლივი ზომები უმუშევართა დახმარებისათვის; გაზეთი ილაშქრებს ბალდვინის წინააღმდეგ, რომელსაც არ სურს გადადგომა.

„დეილი ჰერალდ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს, გენდერსონმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბალდვინი მართლა დარჩება მთავრობაში იანვრამდის, მაშინ ამ დღეებში მოწვეული იქნება მუშათა პარტიის აღმასკომის გაერთიანებული თათბირი ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოსთან ერთად. ეს თათბირი მიიღებს მეტად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი

რაც უფრო მტკიცდება საბჭოთა ხელისუფლება, რაც უფრო მაგრდება მშრომელთა ბატონობის ეკონომიური ბაზა და უდავო ფაქტი ხდება საბჭოთა ქვეყნების სამეურნეო აღორძინება,—მით უფრო თანდათან პრაქტიკულ ნიადაგზე დგება საბჭოთა კავშირთან ბურჟუაზიულ სახელმწიფოების სააღებ-მიცემო დამოკიდებულების აღდგენის, მათ მიერ მისი ცნობის საკითხი.

ამას წინად მოყვანილი გვქონდა ზოგიერთი ცნობები ჩვენი ექსპორტის გაზრდის და საერთოდ საგარეო ვაჭრობის გამოცოცხლების შესახებ.

ინგლისის საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატორების დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი არის მათი შეურიგებელი პოზიცია საბჭოთა რესპუბლიკებისადმი. ამ არჩევნებში საკმაოდ გამოირკვა ინგლისის ხალხის დიდი უმრავლესობის სულიერი განწყობილება, რომელიც მოითხოვს ჩვენთან ეკონომიური ურთიერთობის განახლებას. რანაირიც არ უნდა იქნეს ლონდონის მომავალი მთავრობა, ის ვერ შესძლებს ანგარიში არ გაუწიოს თავის ხალხის, არჩევნებში გამოაშკარავებულ ნებისყოფას და ჩვენთან დამოკიდებულების საკითხში არ შესცვალოს წინანდელი გეზი, საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულების აღდგენის და მისი ცნობის მიმართულებით.

გუშინ ჩვენ გამოქვეყნებული გვქონდა რამდენიმე საყურადღებო ცნობა.

ფრანგული გაზეთი „ერ ნუველ“-ი მოითხოვს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირ შორის სავაჭრო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ დადებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ საფრანგეთი ძლიერ დაინტერესებულია იმით, რომ ინგლისმა არ დაასწროს მას საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის დაწყება.

ამერიკელი გავლენიანი სენატორები ლაფოლეტი და ნორისი აცხადებენ, რომ აუცილებლად საჭიროა საბჭოთა კავშირის ცნობა და მასთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა.

იტალიის პარლამენტმა ამ დღეებში დაამტკიცა საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულება.

ფრიად საყურადღებოა იტალიის პრემიერის მუსოლინის სიტყვა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, სიტყვა, რომელიც მოგვყავს ჩვენი გაზეთის დღევანდელ №-ში.

მუსოლინი აღნიშნავს, რომ ყველა ევროპიული და არაევროპიული სახელმწიფოები—ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა და სხვები—ცდილობენ პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით დაამყარონ რუსეთთან ურთიერთობა და ამ მხრივ კიდეც სდგამენ ნაბიჯებს. რაც შეეხება იტალიას, მუსოლინი ასე აყენებს საკითხს: სასარგებლოა თუ არა იტალიის მეურნეობისათვის და იტალიის ხალხისათვის რუსეთის რესპუბლიკის ცნობა დეიურე, გააადვილებს თუ არა ეს იტალიელ და რუს ხალხებ შორის ეკონომიურ კავშირის შექმნას? მუსოლინი ამაზე უყოყმანოდ იძლევა დადებითი პასუხს: „მე ვაწარმოებ პოლიტიკას, რომელიც განისაზღვრება ფორმულით: ვძლევ, რათა მომცენ“, ამბობს იგი. რაც უფრო საგულისხმოა, მუსოლინი აცხადებს: არა აქვს აზრი თავი ვიმტვრიოთ საკითხზე: როგორი სოციალური და ეკონომიური ცვლილებებია კიდევ მოსალოდნელი რუსეთში: ესაა რუსეთის შინაური საქმე.

ამგვარად იტალიის პრემიერი რეალური, სარგებლიანობის თვალსაზრისით უდგება საკითხს.

რა თქმა უნდა, მუსოლინი ამას სჩადის არა იმიტომ, რომ ის გამსჭვალულია საბჭოთა კავშირისადმი, მასში გამეფებულ პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ სისტემისადმი პატივისცემით.

იყო დრო, როცა ყველა ბურჟუაზიული მთავრობები და მათ შორის იტალიისაც არაფერს ზოგავდნენ, რათა დაეშხოთ საბჭოთა ხელისუფლება. ბევრს დღესაც არ აუღია ხელი ასეთ განზრახვაზე.

მაგრამ ჩვენი გამარჯვებული მშრომელი ხალხი უძლეველი აღმოჩნდა. მან არა მარტო დაამსხვრია ინტერვენციული ცდები, არამედ შინ აღადგინა თავისი მეურნეობა.

ამ ფაქტმა ბოლოს და ბოლოს ყველა ჯიუტსაც უნდა მოახრევინოს ქედი.

საბჭოთა კავშირის გარიყვამ მსოფლიო მეურნეობიდან ძირიანად შეარყია კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა. მით უფრო საგრძნობი შეიქმნა ეს დღეს, როცა ჩვენი რესპუბლიკები შედგნენ აღორძინების მკვიდრ და ფართოთ გზაზე.

რაკი შეუძლებელია საბჭოთა ხელისუფლების დამორჩილება იარაღით და ამ გზით ჩვენი უამრავი რესურსების და თვალუწვდენელი ბაზრის გამოყენება ბურჟუაზიულ ქვეყნების მიერ, დარჩენილია ერთად-ერთი გზა, გზა შეთანხმებისა ორივე მხარისათვის მისაღებ საფუძველზე, გზა ჩვენი კავშირის ცნობისა და მასთან საქმიანი დამოკიდებულების აღდგენის.

ასეთ პოლიტიკის აუცილებლობას გაბედულად აღიარებს მუსოლინი, თუ მისი სიტყვა ბურჟუაზიული სახელმწიფო მოღვაწის ჩვეულებრივი თვალთმაქცობა არ არის.

რაც უფრო ადრე აიღებენ ხელს კაპიტალისტური სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის მიმართ აგრესიულ პოლიტიკურ მიზნებზე და დადგებიან საქმიან თვალსაზრისზე, მით უფრო მოიგებენ როგორც ჩვენი რესპუბლიკები, ისე ისინიც, რომელთაც ახრჩობთ ეკონომიური კრიზისი, სხვათაშორის, ჩვენ კავშირთან ურთიერთობის მოუგვარებლობის გამო.

საბჭოთა ხელისუფლება ხალისით შეხვდება ყოველ ბურჟუაზიულ ქვეყნის სურვილს, განაახლოს მასთან, მისი სრული სუვერენობის საფუძველზე, ურთიერთი სასარგებლო დამოკიდებულება.

ამასთან ჩვენი მშრომელი ხალხი არ დაივიწყებს, რომ მთავარი პირობა მისი მშვიდობიანობის დაცვის, უცხოეთთან ურთიერთობის აღდგენის, საბჭოთა ხელისუფლების ცნობის არის თვით მისი სიმტკიცე სამხედრო, სამეურნეო და სხვა მხრით.

ამიტომ ის წინანდელი ენერგიით განაგრძობს ინტენსიური აღმშენებლობითი მუშაობას და თავის საზღვრების სადარაჯოზე ფხიზლად დგომას.

საბჭოთა კავშირი და იტალია

მუსოლინი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

რომი, 12 დეკემბერი. მუსოლინმა საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „როდესაც ფაშისტებმა ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება, მათ წინაშე ბუნებრივათ, დაბრკოლების სახით აღიმართა რუსეთის მთავრობის უნდობლობა. შემდეგ რომში ჩამოვიდა კრასინი და ჩემთან ჰქონდა რამოდენიმე ხანგრძლივი ბაასი. ამის შემდეგ მოლაპარაკება სწარმოებდა ვოროვსკისთან. ჩვენ მოვასწარით შესამჩნევათ წავწეულიყავით წინ, მაგრამ ვოროვსკი მოჰკლეს.

ამან გამოიწვია მუშაობის შეჩერება 3—4 თვით. იორდანსკის ჩასვლის შემდეგ რომში, მოლაპარაკება განახლებულ იქნა. ამჟამათ რომში იმყოფება მოსკოვიდან გამოწვეული კომისია, რომელიც იმუშავებს ნორმალურ სავაჭრო ხელშეკრულებას იტალიასა და რუსეთს შორის. მუშაობა სწარმოებს ნელა, მაგრამ შეუწყვეტლივ. მე ქედს ვიხრი იმ საშუალების წინაშე, რომლითაც იცავენ ისინი თავის ქვეყნის ინტერესებს.

უაზრობაა თავის მტვრევა იმ საკითხზე, თუ როგორი სოციალური და ეკონომიური ცვლილებებია კიდევ მოსალოდნელი რუსეთში: ეს რუსეთის შინაური საქმეა. რუსეთს და იტალიას აკავშირებს ნამდვილი და გასაგები [illegible] ძაფები. ეჭვს გარეშეა, რომ ყველა ევროპიული და არა ევროპიული სახელმწიფოები სცდილობენ ამჟამათ პირდაპირ თუ არა პირდაპირ დაამყარონ რუსეთთან ნორმალური დამოკიდებულება. ინგლისი, საფრანგეთი და შეერთებულმა შტატებმა შესამჩნევ შედეგებს მიაღწიეს უკვე ამ მიმართულებით. ამიტომ, საკითხი საბჭოების ცნობის შესახებ არის ის შირმა, რომლის უკანაც უნდათ დამალონ კონკრეტიული სიმართლე. ჩემთვის, იტალიის პრემიერისათვის, გაცილებით უკეთესია იყოს რომში რუსეთის ოფიციალური ელჩი, ვიდრე წარმომადგენელი, რომლის შესახებაც მე არ ვიცი—ვაჭარია ის თუ დიპლომატი, ან და ერთდროულად ერთიც და მეორეც.

სასარგებლოა თუ არა იტალიის მეურნეობისათვის და იტალიის ხალხისათვის რუსეთის რესპუბლიკის იურიდიულად ცნობა, ხელს შეუწყობს თუ არა ეს ეკონომიურ კავშირის დამყარებას იტალიისა და რუსეთის ხალხებს შორის? გიპასუხებთ, დიახ. მე ვაწარმოებ პოლიტიკას, რომელსაც გამოხატავს ფორმულა: „ვძლევ იმისათვის, რომ მომცენ“. საბჭოების ცნობით მე შემყავს რუსეთი დასავლეთ-ევროპის საზოგადოებრივ და დიპლომატიურ ცხოვრების წრეში. მაგრამ ამისათვის რუსეთმა უნდა მომცეს მე ზოგიერთი რამ: კარგი სავაჭრო ხელშეკრულება, კონცესიები და ნედლი მასალა, რომელიც საჭიროა იტალიისათვის.

შვეიცარიის ბოიკოტი

ცნობების მიხედვით.

მოსკოვი. 13 დეკემბერი. კონრადის პროცესზე გამოტანილ განაჩენის გამო, შვეიცარიულ საქონლების და კაპიტალის ბოიკოტის მიზნით და აგრეთვე, იმ მიზნით, რათა შვეიცარიის საქონლები არ გავიდენ საბჭოთა კავშირის ბაზარზე, საბჭოთა კავშირის მთავრობამ განკარგულება მისცა თავის წარმომადგენლობას საზღვარ-გარეთ არ დაიჭიროს არავითარი დამოკიდებულება შვეიცარიის ოფიციალურ და არა ოფიციალურ წარმომადგენლებთან და, აგრეთვე, არ მისცეს შვეიცარიელ მოქალაქეებს საბჭოთა კავშირში შესასვლელი ვიზები.

საბჭოთა რესპუბლიკების ხელისუფლებას წინადადება მიეცა გადასინჯონ მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ შვეიცარიელ მოქალაქეების სიები და გამოჰყონ ამ სიებიდან კანტონ ვოს მოქალაქეები და აგრეთვე, ახლო წარსულში ჩამოსული შვეიცარიელი მოქალაქეები, რათა საჭიროებისთანავე შესაძლებელი იქნეს მათი გადასახლება.

მდგომარეობა შვეციაში

კატა დალსტრემის სიკვდილი.

სტოკჰოლმი. 12 დეკემბერი. გარდაიცვალა შვეციის მუშათა მოძრაობის ვეტერანი, 65 წლის მოხუცი ქალი კატა დალსტრემი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში დღიდან მისი დაარსებისა; ის იყო აგრეთვე ერთერთი დამაარსებელი შვეციის კომპარტიისა. ის ცნობილი იყო შვეციაში თავისი აგიტაციური მგზავრობებით. კატა დალსტრემი ბევრს სწერდა საბჭოთა რუსეთის შესახებ.

შვეციის კომპარტიაში.

სტოკჰოლმი. 12 დეკემბერი. შვეციის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმმა გაგზავნა მოსკოვში კომინტერნის აღმასკომთან მოსალაპარაკებლათ შვეციის კომპარტიის მდგომარეობის შესახებ, უმრავლესობის წარმომადგენელნი ბულინი და პალმე და უმცირესობის წარმომადგენელნი ჩილბუმი და სამუელსონი. მოსკოვში მიემგზავრება აგრეთვე ახალგაზრდათა კომკავშირის მდივანი სილლენი.

ურთიერთობა რუსეთთან.

სტოკჰოლმი. 12 დეკემბერი. შვეციის კოოპერაციის ორგანო „კოოპერატორი“ აღნიშნავს რუსეთის ჩქარ ეკონომიურ აღორძინებას და მოითხოვს საჩქაროთ იქნეს დამთავრებული მოლაპარაკება, რომლის მიზანია სავაჭრო ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირთან.

სხვადასხვა

ბულგარეთი.

კაპიტალისტების შემოტევა.

ვენა. 12 დეკემბერი. ბულგარეთის მრეწველები სარგებლობენ პროფკავშირთა საყოველთაო დარბევით და იერიშები მიაქვთ მუშათა ორგანიზაციებზე. სლივენიაში საფეიქრო ქარხნების მეპატრონეებმა 20 პროც.-ით შეუმცირეს მუშებს ხელფასი და დააწესეს მათთვის 10 საათის სამუშაო დღე.

ესტონეთი

ქალაქის სათათბიროს არჩევნები.

რეველი. 12 დეკემბერი. რეველის ქალაქის სათათბიროს არჩევნებში პირველად გავიდენ კომუნისტები, რომლებმაც მიიღეს 16,700 ხმა 60,000 ხმიდან კომუნისტებს ეხლა სათათბიროში დაეთმობათ 35 ადგილი, ესე იგი 8 ადგილით მეტი, ვინემ 1921 წელს. სოციალ-დემოკრატებმა და დამოუკიდებლებმა მიიღეს ერთად მხოლოდ 3,000 ხმა, მათ სათათბიროში ექნებათ 7 ადგილი. მემარცხენე ფრთას სათათბიროში ექნება აბსოლიუტური უმრავლესობა.

ესტონეთის სხვა დანარჩენ ქალაქებშიაც არჩევნებში იმარჯვებენ კომუნისტები.

ფინეთი

კომუნისტების დევნა.

ჰელსინგფორსი. 12 დეკემ. სოციალ-დემოკრატმა ტანიერმა განაცხადა სეიმში, რომ სეიმის კომუნისტ-დეპუტატების დაპატიმრება მოხდა პირადათ იუსტიციის მინისტრის განკარგულებით და ეს არ მომხდარა მთავრობის დადგენილებით. მთავრობის წევრებმა ვერ უარჰყვეს ეს განცხადება.

იაპონია

საგაფიცვო მოძრაობა.

ვლადივოსტოკი. 12 დეკემ. ოსაკას ოლქში ძლიერდება საგაფიცვო მოძრაობა. იცუჰის ქარხანაში გაფიცულია 2,000 კაცი, დერანოში—600 კაცი. მუშების საერთო საცხოვრებელი გადააქციეს ციხეებათ. პოლიციამ მიიღო საგანგებო ზომები გაფიცვის აღმოსაფხვრელად. მუშებს და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება, დაპატიმრებულია რამოდენიმე ათეული მუშა.

შაბათს, 15 დეკემბერს, დილის 11 საათზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის შენობაში დანიშნულია **ცენტრალურ კომიტეტის**

გაფართოებული პლენუმი

სამაზრო და საოლქო კომიტეტების პასუხისმგებელ მდივნებთან ერთად. ცენტრალურ კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ცენტრ. კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა
დღეს, 14 დეკემბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დაისვას საკითხი:

„პარტიის ახალი ამოცანების შესახებ“

მასალად გამოიყენონ: ამხ. ზინოვიევის წერილები, ს. კ. პ. ტფ. კომიტეტის მიერ წამოყენებული პრაქტიკული წინადადებები და პეტროგრადის საგუბერნიო პარტკონფერენციის რეზოლიუციები, რომლებსაც მიიღებენ რაიკომებში.

ს. კ. პ. ტფ. კომიტეტი წინადადებას იძლევა ყოველმხრივ იქნას განხილული აღნიშნული მასალები და ახალი კონკრეტიული წინადადებანი გადაეცეს სათანადო რაიკომს.

ტფ. კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

საქ. საბჭოთა ყრილობისათვის

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობა

მოწვეულია 1923 წლის 30 დეკემბრისთვის ქალ. ტფილისში.

დღის წესრიგი:

1. **მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენება:** ა) საქართველოს ცაკის ანგარიში, ბ) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში.
2. **სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.**
3. **საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია.**
4. **საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება.**
5. **საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ.**
6. **მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება.**
7. **მოხსენება მაზრების რაიონებათ დაყოფის და სამაზრო და სათემო აპარატების განმარტივების შესახებ.**
8. **მოხსენება ქართული ლაშქრის შესახებ.**
9. **განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.**
10. **ს. ს. ცაკის არჩევნები.**
11. **ა. კ. საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.**

საქარ. ცაკის მდივანი **პ. საბაშვილი.**

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ბრესლავლის ბაზრობაზე.

მოსკოვი. 13 დეკ. საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ ბერლინში საჭიროთ ჩასთვალა გადასინჯოს საკითხი ბრესლავლის გაზაფხულის ბაზრობაზე საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მონაწილეობის შესახებ, რადგან საბაზრო კომიტეტი მართავს, აგრეთვე, ნედლი მასალის სპეციალურ ბაზრობას. ევროპის სავაჭრო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ რუსეთის ერბოს, კვერცხისა და სხვა პროდუქტებისადმი, რის გამო სავაჭრო წარმომადგენლობა შესაძლებლათ სთვლის საბჭოთა კავშირის გამოსვლას უახლოეს მომავალში გერმანიის სასურსათო ბაზრებზე.

კამპანია მალიარიის წინაალმდეგ.

მოსკოვი. 13 დეკ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთა არსებულმა მალიარიის წინაალმდეგ მებრძოლმა ცენტრალურმა კომისიამ გამოიმუშავა ტორფის სამუშაოზე მალიარიის წინაალმდეგ ბრძოლის კამპანიის გეგმა. ამავე კომისიამ დაისახა მიზნათ გახსნას ჩუდინოვოში მუდმივი სამალიარიო სადგური და გააძლიეროს საექიმო-სანიტარულ მეთვალყურეობა იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობს უმთავრესად ტორფის მრეწველობაში მომუშავე გლეხობა.

მეაბრეშუმეობის განვითარება.

მოსკოვი. 13 დეკ. აქციონერთა საზოგადოება „არკოს“-ი შევიდა, როგორც აქციონერი თურქესტანის აბრეშუმის ტრესტში აბრეშუმის მრეწველობისათვის საზღვარგარეთელ აბრეშუმის თესლის და ბამბის ნართავის მომარაგების მიზნით. „არკოს“-ი გაასაღებს აგრეთვე რუსეთის მეაბრეშუმეობის პროდუქტებს საზღვარგარეთ.

საბჭოთა კავშირის საფინანსო მეურნეობა

ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება.

მოსკოვი. 13 დეკემბერი. ტრანსპორტის საფინანსო ყრილობაზე ამხ. სოკოლნიკოვმა აღნიშნა მიღწევები საბჭოთა კავშირის საფინანსო მეურნეობაში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. მომხსენებლის სიტყვით, ამჟამად ფულის ბაზარზე ჩერვონეცი შეადგენს 80 პროც., ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ მტკიცე ვალიუტაზე გადასვლა უკვე მომხდარი ფაქტია. მტკიცე ვალიუტის სისტემის განვითარების პირველმა ცდამ, ჩერვონცზე ნაკლები კუპიურის—ტრანსპორტის სერტიფიკატების გამოცემით, სასურველი შედეგები მოიტანა. წვრილი ფულები გამოშვებული იქნება სახელმწიფო ხაზინის მიერ. განზრახული რეფორმა ფულის მეურნეობის დარგში წარმატებით იქნება ჩატარებული იმ პირობით, თუ ჩვენ არ გავცილდებით ბიუჯეტის ნაღდი ანგარიშის ფარგლებს, რისთვისაც აუცილებელია მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილება ფინანსების მიწოდების მტკიცე ფორმის შექმნისათვის; საჭიროა აგრეთვე მრეწველობის და ტრანსპორტის ფართე აღმშენებლობითი მუშაობა.

ტრანსპორტი არ მიიღებს ზარალს სალაროებში დაგროვილ ვალიუტაზე, თუ ის სწორათ დააყენებს თავის ანგარიშს. ტრანსპორტი მოიგებს ტვირთების ბრუნვის მხრივ იმ შემთხვევაში, თუ განვითარებული იქნება საქონლის გაცვლა-გამოცვლა ქალაქსა და სოფელს შორის. ტრანსპორტის წარმატება ორი წლის განმავლობაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დოტაცია, რომელიც გასულ წელს შეადგენდა 160 მილ. მომავალ წელს შეადგენს 40 მილ. მან. ტრანსპორტი უახლოვდება დეფიციტის თავიდან აცდენის მომენტს, რომლის შემდეგ ის გახდება შემოსავლიანი. უცხოეთში საბჭოთა კავშირს აფასებენ მისი ვალიუტით, რაც ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ გვაქვს მტკიცე ფინანსიური პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ამოცანას.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის ნაწარმოების გაყიდვა იტალიაში.

ბაქო. 12 დეკემ. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველომ მილანიდან დეპეშა მიიღო, რომლითაც ატყობინებენ რომ მისმა წარმომადგენელმა მიიღო ასლი ხელმოწერილი ხელშეკრულებისა, რომლის ძალითაც ანდრის ფირმა უზრუნველჰყოფს სამანქანო ზეთეულობის გასაღებას; ხოლო „ბაი-მარშალ“-ის ბანკი გროზნის ბენზინისას. სამანქანო ზეთეულობის რაოდენობა განსაზღვრულია 40000 ტონნათი, ხოლო ბენზინისა—50000 ტონნათი. ხელშეკრულობაში გათვალისწინებულია სათანადო ჯარიმა, თუ ის სისრულეში არ იქნება მოყვანილი.

ნავთი თურქესტანისათვის.

ბაქო. 12 დეკემბერი. კრასნოვოდსკმა მოსთხოვა აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს რათა ტაშკენტისათვის გაუგზავნოს 250,000 ფუთი ნავთი, რომელიც ძალიან უჭირს თურქესტანს.

სომხეთი

ამხ. ტროცკის დეპეშა სომხეთის ყრილობას.

ერევანი. 12 დეკემ. სომხეთის საბჭოთა ყრილობამ მოსკოვიდან მიიღო ამხ. ტროცკის მოსალოცი დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „ვუსურვებ აყვავებას სომხეთის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას და მის სამხედრო ძალას“.

პარტიული ცხოვრება

პარტიის შიგნით*)

(ამხ. გ. ზინოვიევის წერილის გამო)

7 ნოემბერს, გაზ. „პრავდა“-ს საიუბილეო ნომერში მოთავსებულმა ამხ. გ. ზინოვიევის სადისკუსიო წერილმა „პარტიის ახალი ამოცანების შესახებ“, გამოიხმაურენ პარტიის ბედით დაინტერესებული ბევრი ამხანაგები.

სამი კვირა არის უკვე მას შემდეგ, რაც პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდა“-მ კამათი გახსნა ამ საგანზე.

გაზეთ „პრავდა“-ს ფურცლებზე თავსდება პარტმუშაობის შესახები სადისკუსიო წერილები.

აქ, საბჭოთა საქართველოში, ამ საკითხზე მხოლოდ ეხლა დაიწყო დისკუსია.

ვკითხულობთ წერილს ამხ. ფ. მახარაძისას გაზ. „კომუნისტში“. აგრეთვე ამხ. რუბენისას გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში და „კომუნისტში“ ამხ. ბ. ლომინაძისა და კ. ცინცაძის ისევ „კომუნისტში“.

გაზეთ კომუნისტში“ და „მუშა“-ში გადმოიბეჭდა აგრეთვე ამხ. გ. ზინოვიევის ხსენებული წერილიც.

ყველაფერი ეს გვეუბნება იმას, რომ პარტიის შინაგან მდგომარეობას სერიოზული ყურადღება ექცევა.

...არაფერი არ უნდა დაიმალოს აქ. ხელმძღვანელი ორგანიზაციების დეფექტები, ამ ორგანიზაციათა წევრების სისუსტე თუ უარყოფითი მხარეები, შეუმცირებლად და გადაუმეტებლად უნდა აღინიშნოს. ამას მოითხოვს პარტიის დიადი ინტერესები. უნდა აღინიშნოს ყოველი წვრილმანი ფაქტი პარტიის ცხოვრებიდან. დეე, იცოდეს ეს მტრებმაც,—გაუღვივოს მათ მიმქრალი „იმედები“, ჩაფერფლილი „სიხარული“! არაფერი ამით არ შეემატებათ მათ!

ჩვენ, ბოლშევიკები, პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, მუშურ-გლეხურ უჩვეულო სახელმწიფო მშენებლობის პერიოდში, როცა წარსული არ გვაძლევს პრაქტიკულ მაგალითს იმისას, თუ როგორ უნდა ვაკეთოთ, ვსწავლობთ საქმიანობის პროცესში. ვაჩვევით, ყველაფერ ახალს და აქ ხშირათ გვიხდება შეცდარი ნაბიჯების გადადგმა; როცა მთელი პასუხისმგებლობა ამ ახალ ქვეყნის აგება-განმტკიცება-განვითარებაში მარტო ერთ კომუნისტურ პარტიას აწევს,—ჩვენ არ შევუშინდებით მტრებს, ჩვენ არ შევრცხვება, არ მოვერიდებით არავის,—ვილაპარაკოთ ჩვენ შინაურებზე, გამოვიტანოთ გარეთ ჩვენი პარტიულ-კომუნისტური ოჯახის ავ-კარგი და იგი გარეშეების მოწმობით და თანდასწრებით შევაფასოთ.

ჩვენ, კომუნისტურ პარტიას გვჭირია—გამოვაშკარავოთ როგორც ნაკლულევანებანი, ისე დადებითი მხარეები ჩვენი. არ დავაფაროთ ხელი მათ, გავხადოთ ისინი დასანახათ როგორც მტრებისთვის, ისე მოყვრებისთვის... ამის მაჩვენებელი და დამადასტურებელია ჩვენ მიერ ჩატარებული პარტიის წევრების მასიური წმენდა; პარტიასთან დაარსებულია მუდმივი საკონტროლო კომისია. ყველა ეს უწყობს ხელს პარტიის განმტკიცებას, ყველა ეს ასალკლდევებს; აფოლადებს კომუნიზმის დიდი შენობის ასაგებათ მოწოდებულ იმ მუშათა კლასს, რომლის ხელმძღვანელობა ისტორიას კომუნისტური პარტიისთვის ჩაუბარებია.

ჩვენ გვინდა გამოვასწოროთ პარტიული მუშაობის დეფექტები და აქ ნურავინ ნუ იფიქრებს იმას, რომ ამით ვინმე „დამნაშავეებს“ ეძებდეს, „დამნაშავის“ სკამზე სვამდეს ვისმეს სასჯელის მოსახდენათ.

ჩვენ ამ წერილით გვსურს ვაჩვენოთ პარტიის მტკივანი ადგილები და მივუთითოთ იმ პრაქტიკულ საშუალებებზე, რომელიც მას ტკივილებს მოუშუშებს, გამოაჯანმრთელებს.

ამხ. გ. ზინოვიევის წერილი **პარტიის ახალი ამოცანების შესახებ**, ეს ხელის დადებაა იმ ტკივილებზე, რომელსაც პარტია თავის სხეულზე გრძნობს.

რაში გამოიხატება ეს ტკივილები?

პარტიის წევრთა შორის დაირღვა თანასწორობა, არ არის მუშათა დემოკრატიული პრინციპი, შესუსტდა, დამახინჯდა ამხანაგური დამოკიდებულება. ყველაფერს „ოფიციალობა“ დაეპატრონა. ლაპარაკობენ, აკეთებენ რამეს პარტიის წევრები იმდენათ და იმიტომ, რამდენადაც ეს საჭიროა მისი „კომუნისტათ“, მისი „პარტიის წევრათ“ დარჩენისათვის, რამდენადაც პარტიის წევრის ასეთ მოქმედებას იწონებს ორგანიზაცია, რამდენადაც სურს ეს ორგანიზაციების ამა თუ იმ ხელმძღვანელთ. პარტიის წევრმა იცის, რომ პარტიული „დისციპლინის“ გამო არა აქვს მას უფლება წამოჭრილ ამა თუ იმ პარტიულ საკითხებზე დამოუკიდებელი მსჯელობა იქონიოს, თავისი აზრი და შეხედულებები შეიტანოს პარტიის ორგანიზაციური მუშაობის სფეროში. პარტიის წევრს ეშინია, არა სთქვას ისეთი რამ, რაც ორგანიზაციისა და მის ხელმძღვანელ წევრების აზრსა და მუშაობის ხაზს არ ეთანხმება; ეს შედეგათ მოუტანდა მას „პარტიული“ წესით გაკიცხვას, „დისციპლინარული“ წესით ადგილიდან მოხსნას, სახელმწიფო დაწესებულებების უმოქმედო, საარქივო ნაწილში გადასროლას, ან სრულებით „უსაქმოთ“ დარჩენას.

ამისი ფაქტები და მაგალითები, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მრავალია.

რევოლიუციის გრძელ გზა-განვლილ პარტიის წევრებში ასეთმა დამოკიდებულებამ წარმოშვა და გაამრავლა **უკმაყოფილების „ბაცილები“**, გამოიწვია იდეური და პოლიტიკური კავშირი ორგანიზაციასა და მათ შორის; ხოლო პარტიის ნორჩი, ახალგაზრდა წევრები გარდააქცია ასეთმა დამოკიდებულებამ ნამდვილ მორჩილ ჯარისკაცებათ, რომლებიც ყოველთვის და ყოველ დროს თავის ხელმძღვანელ ორგანიზაციას და მის ცალკე წევრებს ეუბნებიან: „მესმის! ვასრულებ!“ ეს ახალგაზრდა წევრები ამრიგათ სრულებით დაშორდენ პარტიის აზრს, პარტიის სულს, პარტიის გრძნობას და მისწრაფებას; მათ შორის ბევრნი გაბიუროკრატდნენ,გაკარიერისდნენ პარტიის წევრები,ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულებების თუ ამ დაწესებულებების განყოფილების უფროსათ მოხვედრილნი,ჩინოვნიკათ იქცენ პარტიის ეს წევრები, თავიანთი ადგილებისა და იმ ორგანიზაციის წევრების გარდა, რომელთა მეოხებით ეს ადგილი მიუღიათ, არაფერს სხვას არა ხედავენ, არაფერი პარტიაში მათ ამის გარდა არ აინტერესებთ, ისინი საჭიროთ არა ხედავენ—გააკეთონ პროლეტარიატის მომავლისათვის ის, რასაც პარტია ისახავს, რაც პარტიას დაუსახია.

განა პროლეტარიატის მომქმედ, რევოლიუციონურ რკინის პარტიას სჭირია ასეთი კერძო და პირად ცხოვრებაზე მიჯაჭვული, გაჩინოვნიკებული და გაკარიერისტებული წევრები თავის ოჯახში?

პარტიის დისციპლინა თხოულობს განა იმას, რომ წევრებმა არ იქონიონ თავიანთი აზრი პარტიის პრაქტიკული საქმიანობის სფეროში?

კომუნისტები, პარტიის წევრები, მარქსისტები ხომ ერთი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით, ერთი მსოფლმხედველობით, ერთი იდეით და პრინციპით არიან შედუღებულნი, ერთი მიზანი აქვთ დასახული, აქ ხომ ისინი თავიანთ მიერ წარმოთქმულ აზრებით, საშუალებებზე პრაქტიკულათ მითითების დროს გამოდიან მარტო და მხოლოთ ამ ერთიანი პარტიული ინტერესებიდან და ამიტომ აღნიშნულ შეხედულებების თუ მითითებულ საშუალებების გამო განა ვინმე უნდა დაისაჯოს, თუ გინდ სცდებოდეს ის? თუ მის კომუნისტობაში შეაქვს ვისმეს ეჭვი, ჩამოშორებული და სრულებით გამორიცხული უნდა იქნას პარტიიდან...

ხ. თალაკვაძე.

(დასასრული იქნება)

---

*) დისკუსიის წესით.

რ ე დ.

სააგიტ.-საპროპაგანდო მუშაობა ახალ-ქალაქის მაზრაში ოქტომბერში

საანგარიშო თვეში გატარებული იქნა მაზრის მასშტაბით 3 კამპანია, რომლებიც გლეხობაში მხურვალე გამოძახილს იწვევდენ. შეგროვილია გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ფულით 254,350,000 მან. ნატურით 122 ფ. ქართოფილი, 85 ფუთი ხორბალი, ერთი ცხვარი და სხვა. კომპანიის ჩასატარებლად მობილიზაციით იგზავნებოდა პასუხისმგებელი ამხანაგები, შეგროვილი და გადაგზავნილია საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ 1.010,250,000 მანეთი დაწესებულია ტეხნიკურ მომუშავეებიდან 10 პროც. და პასუხისმგებელ მომუშავეებიდან 20 პროც. ანარიცხი ჯამაგირებიდან გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდის გასაძლიერებლად. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გერმანიის პროლეტარიატის დახმარების კამპანია განსაკუთრებული ხალისით ჩატარდა. სააგიტაციო განყოფილება აგრეთვე აწარმოებდა მუშაობას პოლიტწრეებში. შეყვანილია ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც წარდგენილია მთავარ პოლიტიკურ განათლების განყოფილებაში. განყოფილებას მიზნათ აქვს გახსნას პარტიული სკოლა პირველი საფეხურის. განყოფილებას აქვს სამკითხველო, რომელშიაც დაახლოებით 3,000 წიგნი. მოგვდის ცენტრის გაზეთები, არჩეული კორესპონდენტები [illegible] აქტივობა. [illegible] საანგარიშო თვეში. განყოფილება მტკიცე კონტაქტშია დანარჩენ დაწესებულებებთან.

დ.

ყოფილ პოლიტ-კატორღელების საყურადღებოდ

ეს ორი წელიწადია, რაც ტფილისში არსებობს სრულიად რუსეთის ყოფილ პოლიტკატორღელების და უფლება-აყრილ გადასახლებულების ტფილისის განყოფილების საბჭო, რომლის საორგანიზაციო კომისიას არა ერთხელ მოუწოდებია ამხანაგებისთვის რეგისტრაციაში მათი გავლის აუცილებლობაზე, მაგრამ სუყველა მოწოდებებს ამაოთ ჩაუვლია და არც ერთი ამხანაგი არ გამოხმაურებია, მცირე გამონაკლისის გარდა. ასეთი გულგრილობა კი აფერხებს საორგანიზაციო კომისიის ნაყოფიერ მუშაობას,—ამიტომ კვლავ მოგმართავთ თხოვნით მოგვაწოდოთ ცნობები ახლო მომავალში, რადგანაც გვაქვს განზრახული ამიერ-კავკასიის კონფერენციის მოწვევა, სადაც უნდა იქნეს გარჩეული კარდინალური საკითხები საზოგადოების მუშაობის გაფართოების შესახებ, და აგრეთვე სრულიად რუსეთის ყრილობის შესახებ, რომელიც დანიშნულია მომავალ 1924 წლის მარტის 12-ში. ყოველგვარი ცნობები და საანკეტო ფურცლები შეგიძლიათ მიიღოთ საბჭოს წევრის და საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარის, ამხ. ვართან ატოევისგან. (პლეხანოვის ქუჩა, 29), ყოველ დღე 4—5 ნახევარ საათამდე, და საზოგადოების საქმეთა მმართველ ამხ. ვალიკო ცინცაძისგან (ლენინის ქ., 29) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე.

საორგ. ბიუროს თავმჯდომარე ვ. ატოევი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(13 დეკემბერი).

ჩერვონცები — —	265,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	260,000
ჩეკები —	260,000
დოლარები ეფექტ. —	60,000
ჩეკები —	57.000
ოსმ. ქაღ. ლირა	34.000
იტალიური ლირა	1900
ფრანგული ფრანკი	2850
საბჭ. ფულის ნიშნები	14

მუშკოოპის ფასები.

პური 1 ხარ.—1200 ათ., პური 2 ხარ.—1 მილ., ძროხის ხორცი—4,300 ათ. ცხვრის ხორცი—5200 ათ. ფხვნილი შაქარი—8600 ათ ვერმიშელი—3600 ათ. ბრინჯი აღდ.—2600. ათ. კარტოფილი—325. ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხ.—2000 ათ., პური 2 ხარ.—1.500, ძროხის ხორცი 5 მილ. ცხვრის ხორცი—6 მილ., შაქარი რაფინადი—10500—14 მილ., ფხვნილი შაქარი—9 მილ., ვერმიშელი—3700—ბრინჯი აღდაშის—2700—კარტოფილი 400 ათ.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ხორბლეულის და პურეულის ბაზარზე განწყობილება სუსტია; შაქრის ბაზარზე—მტკიცეა; საფეიქრო ნაწარმოებზე—სუსტია. დანარჩენ ბაზრებზე—უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი, გარდა ოსმალ. ქაღ. ლირასი, უცვლელია. ოსმ. ლირას კურსი მატულობს.

ბირჟის მიწოდება.

რუს. „კოცინდიკატ“-ის პროდუქცია. შაქარი რაფინადი 1 და 2 ხარისხისა. ბორჯომის ქარხნის ნაწარმოები. ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხარ. საშენებელი ლურსმნები. შაქრის ფხვნილი „იავა“-სი. შაბიამანი. ჩაი, რუს. მანუფაქტურა. ქიმიური ნაწარმოები. კაუსტიური სოდა. რუს. ასანთი ს. მ. უ. ს. საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.). ცემენტი და ეტერნიტი. მზესუმზირას ზეთი. ყუბანის ფქვილი. მაკარონი და ვერმიშელი 1 და 2 ხარ. რკინეულობა. ოზურგეთის ჩაი.

ბირჟის მოთხოვნილება.

შაქარი რაფინადი და ფხვნილი. „კოცინდიკატ“-ის პროდუქცია. რუს. მანუფაქტურა. სალომასი. მზესუმზირას ზეთი. პორტლანდის ცემენტი. ყუბანის ფქვილი. ტეხნიკური ცხიმი. ჩაი. საშენებელი ლურსმნები. ასანთი რუს.

ოფიციალური გარიგებანი.

ფხვნილი შაქარი „იავა“-სი—12 მან. 25 კ. ჩერ. ფუთში, ფრანკო—გამყიდველის საწყობი.

შაქარი რაფინადი. რუს. 2 ხარ.—14 მ. 75 კ. ფუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

ამიერ-კავკასიის სავაჭრო სამმართველოში

ბრინჯის შესყიდვა.

ამიერ-კავკასიის სავაჭრო სამმართველომ შეისყიდა სპარსეთში (ენზ[illegible]ლი) 25 ათასი ფუთი ბრინჯი.

ძირტკბილას ექსპორტი.

ა.-კ. სავაჭრო სამმართველომ საქ. „არკოს“-ის საშუალებით გაგზავნა ამერიკაში ძირტკბილას სანიმუშო პარტია რაოდენობით—2000 ფუთი.

საიმპორტო საქონლის რეალიზაცია.

ა.-კ. სავაჭრო სამმართველო, საიმპორტო საქონლის უფრო წარმატებით რეალიზაციისათვის ხსნის ტფილისში, ყოფ. თამამშოვის ქარვასლაში, საბითუმო მაღაზიას-საწყობს,

---

ამხ. სტალინი პარტიის ამოცანების შესახებ

(მოხსენება პარტმშენებლობის შესახებ წითელი პრესის რაიონული კომიტეტის, ჯგუფების ორგანიზატორების, სადისკუსიო კლუბის წევრების და უჯრედების ბიუროების შეერთებულ კრებაზე პეტერბურგში. 1923 წ. 2 დეკემბერი).

— ამხანაგებო! მე პირველყოვლისა უნდა ვსთქვა, რომ დღეს მოხსენებას ვაკეთებ ჩემი, საკუთარი და არა პარტიის ც. კ. სახელით. თუ კრებას სურს მოისმინოს ასეთი მოხსენება, მე მზად ვარ (ხმები: გთხოვთ გთხოვთ!). ეს არ ნიშნავს, რომ მე რაიმეში არ ვეთანხმები, ცენტ. კომიტ. ამ საკითხში, სრულიად არა. ჩემი სახელით მე გამოვდივარ მხოლოდ იმიტომ, რომ ც. კ. კომისიამ, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს ზომები შინაპარტიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ამ დღეებში თავისი მუშაობის შედეგები უნდა წარუდგინოს ც. კომიტეტს; ეს შედეგები ჯერ წარდგენილი არ არის და ამიტომ მე ჯერ არ მაქვს ფორმალური უფლება გამოვიდე ც. კ. სახელით, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ის, რის შესახებაც მე თქვენ მოგახსენებთ ახლა, უმთავრესად იქნება ც. კ. ამ საკითხებისადმი პოზიციის გამოხატულება.

დისკუსია—პარტიის ძლიერების ნიშანია.

პირველი საკითხი, რომელიც მე მსურს აქ დავაყენო,—ეს არის საკითხი პრესაში და უჯრედებში დაწყებული დისკუსიის მნიშვნელობის შესახებ. რას ლაპარაკობს ეს დისკუსია და რას მოასწავებს ის? ხომ არ არის ეს ქარიშხალი, რომელიც შეიჭრა პარტიის წყნარ ცხოვრებაში, ხომ არ არის ეს დისკუსია, როგორც ერთნი ამბობენ, პარტიის გახრწნის, მისი დაშლის, ან როგორც სხვები ამბობენ—პარტიის გადაგვარების ნიშანი. მე ვფიქრობ, რომ არ ხდება არც ერთი და არც მეორე, არც გახრწნა და არც გადაგვარება. საქმე იმაშია, რომ პარტია გაიზარდა უკანასკნელ პერიოდში, ის საკმაოდ გაიწმინდა ზედმეტი ბალასტისაგან, ის უფრო პროლეტარული გახდა. თქვენ იცით, რომ ორი წლის წინათ ჩვენ გვყავდა არანაკლებ 700 ათასი წევრისა, თქვენ იცით, რომ პარტიიდან გავიდა ან განდევნილია რამდენიმე ასეული ყოფილი წევრი. შემდეგ, პარტიის შემადგენლობა გაუმჯობესდა და ხარისხით ამაღლდა უკანასკნელ ხანებში, რაც აიხსნება—მრეწველობის აღორძინების გამო მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების, სოფლებიდან ძველი კვალიფიციური მუშების დაბრუნების, სამრეწველო მუშებში კულტურული განვითარების ახალი ტალღის შედეგით. ერთი სიტყვით, ყველა ამ პირობების გამო პარტია გაიზარდა, ხარისხით ამაღლდა, მისი მოთხოვნილებები გაიზარდენ, მას სურს მეტი იცოდეს, ვიდრე დღემდი იცოდა, მას სურს უფრო მეტი მონაწილეობა მიიღოს პარტიულ ცხოვრებაში, ვიდრე დღემდი იღებდა.

დაწყებული დისკუსია წარმოადგენს არა პარტიის სისუსტის, არა მისი გახრწნის ან გადაგვარების, არამედ მისი შემადგენლობის გაუმჯობესების, მისი აქტივობის გაძლიერების ნიშანს.

დისკუსიის მიზეზები.

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე ისმება,—ეს არის საკითხი იმის შესახებ, რომ რატომ სწორეთ მიმდინარე პერიოდში, სწორეთ მიმდინარე წლის შემოდგომაზე შინაპარტიული პოლიტიკის საკითხმა მიიღო ასეთი მწვავე ხასიათი? რით აიხსნება ეს? სად არის მიზეზები? მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ორ მიზეზთან. პირველი მიზეზი—ეს არის მღელვარების და გაფიცვების ტალღა, შრომის ხელფასის გამო, რომელიც რესპუბლიკების ზოგიერთ რაიონებს მოედვა მიმდინარე წლის აგვისტოში. საქმე იმაშია, რომ გაფიცვების ტალღამ გამოააშკარავა ჩვენი ორგანიზაციების ნაკლი, ჩვენი ზოგიერთი ორგანიზაციების—როგორც პარტიული, ისე საკავშიროების—საწარმოო ცხოვრებისაგან მოწყვეტა, რომ ამ გაფიცვების ტალღამ გამოააშკარავა ზოგიერთი, არალეგალური, არსებითად ანტიკომუნისტური ორგანიზაციების არსებობა ჩვენი პარტიის შიგნით, რომლებმაც ცდილობენ პარტიის გახრწნას და ა.შ., ამ ნაკლის გამოაშკარავებამ ისე გამაფხიზლებლათ იმოქმედა პარტიაზე, რომ მან იგრძნო შინაპარტიული ცვლილებების საჭიროება. მეორე მიზეზი, რომელმაც გაამწვავა საკითხი შინაპარტიული პოლიტიკის შესახებ, ეს არის მასიური შვებულებები, რომლებიც ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა დაუშვეს. ეს შვებულებები, რასაკვირველია სრულიად გასაგებია, მაგრამ თავისი მასიური ხასიათით მათ გამოიწვიეს ის, რომ პარტიული ცხოვრების ტემპი საგრძნობლათ შესუსტდა სწორედ ქარხნებში მღელვარების მომენტში, რამაც ძლიერ შეუწყო ხელი დაგროვილი ნაკლის სწორედ ამ პერიოდში, მიმდინარე წლის შემოდგომაზე გამოაშკარავებას.

შინაპარტიული ცხოვრების ნაკლულევანებანი.

მე ვლაპარაკობდი ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების ნაკლულოვანებებზე, რომლებიც გამოაშკარავდნენ მიმდინარე წლის შემოდგომაზე და რომლებმაც დააყენეს შინაპარტიული ცხოვრების გაუმჯობესების საკითხი. რაში მდგომარეობენ შინაპარტიული ცხოვრების ეს ნაკლულევანებანი? იმაში თუ, რომ პარტიის ხაზი არ იყო სწორი, როგორც ფიქრობენ ზოგიერთი ამხანაგები, თუ იმაში, რომ პარტიის ხაზი სწორი იყო, მაგრამ ის პრაქტიკაზე გადაიხარა სწორი გზიდან, მახინჯდებოდა ზოგიერთი სუბიექტიური და ობიექტიური პირობების გამო?

მე ვფიქრობ, რომ ძირითადი ნაკლი ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის ხაზი სწორი იყო, ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ჩვენი ყრილობების დადგენილებებში, მაგრამ არ იყო სწორი ადგილობრივი პრაქტიკა (არა ყოველგან, რასაკვირველია, არამედ ზოგიერთ რაიონებში). ჩვენი პარტიის სწორი პროლეტარულ-დემოკრატიული ხაზის პირობებში, ადგილობრივმა პრაქტიკამ მოგვცა ამ ხაზის ბიუროკრატიული გადამახინჯების ფაქტები და გამოცდილება.

ამაშია მთავარი ნაკლი. წინაალმდეგობათა არსებობა ყრილობების (მე-10, მე-11 და მე-12) მიერ ნაჩვენებ პარტიულ ხაზსა და ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციების პრაქტიკას შორის ამ ხაზის გატარების დროს,—აი, ამაში არის შინაპარტიული ცხოვრების ძირითადი ნაკლი.

პარტიული ხაზი ლაპარაკობს, რომ ჩვენი პარტიული პრაქტიკის მნიშვნელოვანი საკითხები, გარდა, რასაკვირველია, იმ საკითხებისა, რომლებიც არ ითმენენ დაყოვნებას, ან და რომლებიც სამხედრო ან დიპლომატიურ საიდუმლოებას წარმოადგენენ, უსათუოდ უნდა იხილებოდეს პარტიულ კრებებზე. ამას ამბობდა პარტიული ხაზი. ადგილობრივი პარტიული პრაქტიკა—კი, რასაკვირველია, არა ყოველგან, ფიქრობდა, რომ არსებითად რომ ვილაპარაკოთ, არ არის აუცილებელი საჭიროება იმის, რომ შინაპარტიული პრაქტიკის ზოგი საკითხები ისმებოდეს კრებებზე, რადგან ც. კ. და სხვა ხელმძღვანელი ორგანიზაციები თვითონ გადასჭრიან ამ საკითხებსო.

პარტიული ხაზი ლაპარაკობს, რომ ჩვენი პარტიის თანამდებობის პირნი აუცილებლად უნდა ირჩეოდენ, რამდენათაც არ არიან დაუძლეველი დაბრკოლებები, როგორც მაგ. პარტიული სტაჟი და სხვ. თქვენ იცით, რომ პარტიის წესდებით, საგუბერნიო კომიტეტის მდივანისათვის საჭიროა პარტიაში ოქტომბრამდი წევრობის სტაჟი, სამაზრო კომიტეტის მდივნისათვის—სამწლიანი, უჯრედის მდივნისათვის—ერთი წლის. მაგრამ პარტიული ხაზი ხშირად სთვლიდა, რომ, რადგან საჭიროა სტაჟი, მაშასადამე, საჭირო არ არის არჩევნები.

პარტიული ხაზი გულისხმობს, რომ პარტიული მასა უნდა იცნობდეს სამეურნეო ორგანოების, წარმოებების და ტრესტების მუშაობის ვითარებას, რადგან ჩვენი პარტუჯრედები, ბუნებრივათ, მორალურათ პასუხისმგებელნი არიან უპარტიო მასების წინაშე წარმოებებში ნაკლისათვის. მიუხედავად ამისა, პარტიული პრაქტიკა ფიქრობდა, რომ რადგან არსებობს ც. კ., რომელიც დირექტივებს აძლევს სამეურნეო ორგანოებს და რადგან სამეურნეო ორგანოები შეჯაჭვული არიან ამ დირექტივებით, მაშასადამე ეს დირექტივები გატარებული იქნებიან პარტიული მასების ქვევიდან კონტროლის გარეშეც.

პარტიული ხაზი გულისხმობს, რომ სხვადასხვა დარგის პასუხისმგებელი მუშაკები, მუშაობენ ისინი პარტიულ, სამეურნეო პროფესიონალურ თუ სამხედრო ასპარეზზე, მიუხედავად იმ სპეციალიზაციისა, რომელსაც ისინი იღებენ თავისი მუშაობის დროს, მაინც არიან დაკავშირებული ურთიერთ შორის, ვინაიდან ისინი მუშაობენ პროლეტარიატის ერთ საქმეზე, რომლის გაგლეჯა ნაწილებათ შეუძლებელია. პარტიული პრაქტიკა კი თვლის, რომ თუ არსებობს მუშაობის სპეციალიზაცია, შრომის გაყოფა საკუთრივ პარტიულ, სამეურნეო, სამხედრო და სხვა დარგებზედ, მაშინ პარტიული მუშაკები არ აგებენ პასუხს მეურნეების მუშაობისათვის, მეურნეები კი პასუხს არ აგებენ პარტმუშაკების მუშაობისათვის, და საერთოდ ურთიერთშორის კავშირის გაწყვეტა და შესუსტება აუცილებელია. ასეთია ამხანაგებო, საერთოდ ის წინააღმდეგობა პარტიულ ხაზსა,—რომელიც დადასტურებულია ჩვენი ყრილობების მთელ რიგ დადგენილებებით, დაწყებული მეათე ყრილობით და გათავებული XII-ე ყრილობით,—და პარტიულ პრაქტიკას შორის.

მე შორს ვარ იმისაგან, რომ ბრალი დავდო ადგილობრივ ორგანიზაციებს პარტიული ხაზის ამ დამახინჯებისათვის, ვინაიდან, რომ გავარჩიოთ, აქ არის არა იმდენათ დანაშაული, რამდენადაც ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციების უბედურება. რაში მდგომარეობს ეს უბედურება და როგორ დატრიალდა საქმე ასე, მე ქვევით ვილაპარაკებ, მაგრამ მე მინდოდა აღმენიშნა ეს ფაქტი იმისათვის, რომ განმემარტა ეს წინააღმდეგობა და შემდეგ შევცდილიყავი წარმომედგინა გაუმჯობესების ზომები. მე აგრეთვე შორს ვარ იმისაგან, რომ ც. კ. უცოდველათ ჩავთვალო. მასაც აქვს ცოდვები, როგორც ყოველგვარ სხვა დაწესებულებას და ორგანიზაციას,—აქაც არის დანაშაულის და უბედურების წილი, დანაშაულის წილი თუგინდ იმაში, რომ ც. კ., ამა თუ იმ მიზეზების გამო, თავის დროზე არ გამოააშკარავა ეს ნაკლი და არ მიიღო ზომები მის დასაძლევათ.

მაგრამ საკითხი ახლა ამაში არ მდგომარეობს. ახლა საქმე იმაშია, რომ გამოვარკვიოთ იმ ნაკლის მიზეზები, რომლის შესახებ მე ვლაპარაკობდი. მართლაც საიდან წარმოიშვენ ეს ნაკლულევანებანი და როგორ ავიცილოთ ისინი.

ნაკლულევანებათა მიზეზები.

პირველი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ვერ აღმოფხვრეს კიდევ,ან ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს აღმოფხვრა სამხედრო პერიოდის, წარსული, მაგრამ ისეთი პერიოდის ზოგიერთი მემკვიდრეობა, რომელმაც ჩვენი ზოგიერთი ამხანაგების აზროვნებაში დასტოვა პარტიაში „ვოენშჩინის“ ნაშთები. მე ვფიქრობ, რომ ამ ნაშთების გამოხატულებას წარმოადგენს ის შეხედულება პარტიაზე, რომლის ძალითაც პარტია არის არა თვითმოქმედი ორგანიზმი, არა თვითმოქმედი მებრძოლ ორგანიზაცია პროლეტარიატისა, არამედ რაღაც ერთგვარი დაწესებულებების სისტემა, და მთელ რიგ დაწესებულებების რაღაც კომპლექტი, სადაც არის მაღალი და დაბალი მოსამსახურეები. ეს, ამხანაგებო, ღრმათ შემცდარი აზრია, მას არავითარი საერთო მარქსიზმთან არა აქვს, ეს არის შეხედულება, რომელიც გადმოგვეცა ჩვენ, როგორც იმ პერიოდის მემკვიდრეობა, როცა სამხედრო მდგომარეობის გამო პარტიაშიც სამხედრო წესები არსებობდა, როცა საკითხი პარტიული მასების თვითმოქმედების შესახებ, ძალაუნებურათ უკანა რიგში იყო ჩაყენებული და როცა სამხედრო ბრძანებათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ. მე არ მახსოვს, რომ ეს აზრი სადმე დამთავრებული სახით ყოფილიყოს გამოთქმული, მაგრამ ეს შეხედულება, ან ამ შეხედულების ელემენტები, მაინც ახდენენ გავლენას ჩვენს მუშაობაზე. ამხანაგებო, ამ შეხედულებებს ჩვენ მთელი ჩვენის ძალღონით უნდა ვებრძოლოთ, რადგან ისინი ერთ-ერთ ისეთ რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ ჩვენი პარტიის არსებითად სწორი ხაზი მახინჯდებოდეს პრაქტიკაზე.

მეორე მიზეზი მდგომარეობს ჩვენი სახელმწიფო, არსებითად ბიუროკრატიული აპარატის, ზეგავლენაში პარტიაზე და ჩვენს პარტიულ მუშაკებზე. 1917 წელს, როცა ჩვენ წინ, ოქტომბრისაკენ მივდიოდით, ჩვენ საქმე ისე წარმოგვედგინა, რომ ჩვენ გვექნება კომუნა, რომ ეს იქნება მშრომელთა ასოციაცია, რომ ბიუროკრატიზმს დაწესებულებებში მოუღეთ ბოლო და რომ სახელმწიფოს, თუ უახლოეს პერიოდში არა, ორი-სამი ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მაინც, გადავაქცევთ მშრომელთა ასოციაციად. პრაქტიკამ კი დაგვანახვა, რომ ეს არის იდეალი, რომლიდანაც ჩვენ კიდევ შორს ვართ, რომ იმისათვის, რათა სახელმწიფო განთავისუფლდეს ბიუროკრატიზმის ელემენტებისაგან, იმისათვის, რომ საბჭოთა საზოგადოება მშრომელთა ასოციაციად გადაიქცეს, საჭიროა მოსახლეობის მაღალი კულტურული დონე, საჭიროა გარშემო სრულიად უზრუნველყოფილი მშვიდობიანი პირობები იმისათვის, რომ საჭირო არ იყოს ჯარების დიდი კადრები, რომლებიც მოითხოვენ აუარებელ ხარჯებს და მძიმე უწყებებს, რომლებიც თავის დაღს ასვამენ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებსაც. ჩვენი სახელმწიფო აპარატი ბიუროკრატიულია და ის დიდხანს იქნება ბიუროკრატიული. ამ აპარატში მუშაობენ ჩვენი პარტიული ამხანაგები და აქ, მე ვიტყოდი, ამ ბიუროკრატიული აპარატის პირობები, ატმოსფერა ისეთია, რომ ხელს უწყობს ჩვენი პარტიული მუშაკების, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ბიუროკრატიზაციას.

ნაკლულევანებათა **მესამე მიზეზი**, ამხანაგებო, მდგომარეობს ჩვენი ზოგიერთი უჯრედების არასაკმაო აქტივობაში, ჩამორჩენილობაში, და, ზოგჯერ, განსაკუთრებით განაპირა რაიონებში, სრულ მოუმზადებლობაში. უჯრედები ამ რაიონებში ნაკლებ აქტიური, პოლიტიკურად და და კულტურულად ჩამორჩენილი არიან. ეს მდგომარეობა, ეჭვს გარეშეა, აგრეთვე ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს პარტიული ხაზის გადამახინჯებისათვის.

მეოთხე მიზეზი.—ეს არის ადგილობრივ პარტიულათ მომზადებულ ამხანაგების საკმაო კადრის უქონლობა. ამ რამდენიმე ხნის წინათ ც. კ. მე მოვისმინე უკრაინის ორგანიზაციების წარმომადგენლის მოხსენება. მოხსენებას აკეთებდა ამხანაგი უაღრესად ნიჭიერი, რომელიც დიდ იმედებს იძლევა. ის ამბობდა, რომ ასოცდაათი უჯრედიდან, 80 საგუბერნიო კომიტეტის მიერ დანიშნული მდივანი ყავს. შენიშვნაზე, რომ ამ შემთხვევაში ეს ორგანიზაციები შეცდომას უშვებენ, ამ ამხანაგმა მიუთითა იმაზე, რომ მომზადებული ხალხი არ მოიძებნება უჯრედებში, რომ პარტიული სტაჟი მათ არა აქვთ, რომ უჯრედები თვითონ მოითხოვენ მივცეთ მათ მდივნები და სხვა. მე შემიძლია დაუშვა, რომ ამ ამხანაგმა 50 პროც.-ით გადააჭარბა, რომ აქ, ნამდვილათ, საქმე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ უჯრედებში არ არის მომზადებული ხალხი, არამედ იმაში, რომ საგუბერნიო კომიტეტმა გადააჭარბა თავისი ძველი ტრადიციის მიხედვით. მაგრამ თუ საგუბერნიო კომიტეტი მართალია 50 პროც.-ით, მაშინ განა აშკარა არ არის, რომ თუ ასეთი უჯრედები არსებობენ უკრაინაში, მით უფრო უნდა იყონ ისინი განაპირა რაიონებში, სადაც ორგანიზაციები ახალგაზრდაა, სადაც პარტიული კადრები და მომზადებული ხალხი უფრო ნაკლებია ვიდრე უკრაინაში? ესეც აგრეთვე ერთ-ერთი მიზეზია, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ პარტიის არსებითად სწორი ხაზი გამახინჯდეს პრაქტიკაზე.

დაბოლოს, **მეხუთე მიზეზი**—ეს არის ინფორმაციის სისუსტე. ცუდათ ვაწვდით ინფორმაციას, ცენტრალური კომიტეტიც, პირველყოვლისა, შეიძლება იმიტომ, რომ ის დატვირთულია მუშაობით; ცუდათ გვაწვდიან ინფორმაციას ადგილობრივი ორგანიზაციებიდან. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ესეც აგრეთვე ერთ ერთი მიზეზია იმის, რომ პარტიის შიგნით ნაკლულევანებანი დაგროვდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწაც მიეყიდება საქონელი სა-
ლემზ. და საზოგადო დაწესებულე-
ბებს.

ალხო. მეურნეობის საბ-ოს სატყეო განყოფილებაში

ვინი ხე-ტყის მოთხოვნილება.

ამ უკანასკნელ დროს თვალსაჩინოდ იმატა მოთხოვნილებამ ჩვენ ხეტყეზე როგორც მეზობელ რესპუბლიკების, ისე უცხო ფირმების მხრივ. ვინაიდან, საზოგადოდ, სავაჭრო ოპერაციები გაფართოვდა, სატყეო განყოფილებამ დაადგინა გამოჰყოს საგანგებო სავაჭრო აპარატი.

შეშის დამზადება.

სატყეო განყოფილებამ დაადგინა გახსნას ტფილისის სხვადასხვა რაიონებში შეშის საწყობები. დიდუბეში საწყობი უკვე გახსნილია. განყოფილების ცნობებით, დღევანდლამდის დამზადებულია სულ 7000 საჟ., ჩამოტანილია ტფილისში 1500 საჟენი.

ჩერვონცების და ამიერკავკასიის ბონების შეფარდება

(12 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 ჩ.	265.000,	60 ჩ.	15.900.000
2 „	530.000,	70 „	18.550.000
3 „	795.000,	80 „	21.200.000
4 „	1.060.000,	90 „	23.850.000
5 „	1.325.000,	1 მ.	26.500.000
6 „	1.590.000,	2 „	53.000.000
7 „	1.855.000,	3 „	79.500.000
8 „	2.120.000,	4 „	106.000.000
9 „	2.385.000,	5 „	132.500.000
10 „	2.650.000,	6 „	159.000.000
20 „	5.300.000,	7 „	185.500.000
30 „	7.950.000,	8 „	212.000.000
40 „	10.600.000,	9 „	238.500.000
50 „	13250.000,	1 ჩერ.	265 მილ.

საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის

რამდენიმე დღის წინედ გერმანიიდან დაბრუნდა დრეზდენის პოლიტეხნიკუმის კურსდამთავრებული ინჟინერი ახვლედიანი, რომელმაც თან ჩამოიტანა მეტად საყურადღებო ნაშრომები ბოჭკოვან ნივთიერთა ქიმიურ ტეხნოლოგიის დარგიდან და კერძოთ ტილოს და ბამბეულობის ქსოვილთა შეღებვის და თეთრების საქმეში.

ინჟ. ახვლედიანის შრომამ და მის მიერ ქსოვილის თეთრების შემუშავებულმა მეთოდმა ყურადღება მიიქცია გერმანულ ტეხნიკურ ლიტერატურაში; ეს მეთოდი დიდ უპირატესობას წარმოადგენს ჩვეულებრივ ხელობით თეთრების მეთოდთან შედარებით.

ინჟ. ახვლედიანს აზრად აქვს ახლო ხანში წაიკითხოს ლექციები ცოცხალი სურათების და ნიმუშების დემონსტრაციით, რომელნიც ახასიათებენ გერმანიის საფეიქრო მრეწველობის არსებულ მდგომარეობას.

ამ ლექციებში ის აგრეთვე ვრცლად შეეხება თავის ახალ მეთოდსაც ქსოვილების თეთრებისას.

პირველი ლექცია წაკითხული იქნება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებაში.

ტფილისის აღმასკომის შრომის სკოლათა ქსელი

(სტატის. განყოფილების მასალების მიხედვით)

უბნებში აღმასკომის შრომის სკოლები ერთნაირად არ არიან განაწილებული. ზოგ უბნებში სკოლები ბლომადაა. ზოგან კი სკოლათა სინაკლულეა. გავსინჯოთ ჯერ-ჯერობით ვინ და რამდენი პროცენტი სწავლობს საერთოდ, შევადაროთ ტფილისის სასკოლო ჰასაკის მცხოვრებთა რაოდენობა სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერიდან და შევადაროთ ქალაქის შრომის სკოლების მოსწავლეთა რაოდენობას. ამ შემთხვევაში ზოგიერთი დასკვნების გაკეთება ყოველთვის შეიძლება. ცხადია, ამასთან ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ საქმე გვაქვს შრომის სკოლების უდიდეს ნაწილთან — 82 სკოლასთან.

გამოკვლევის გარეთ დარჩენილ სკოლების მცირე რიცხვი: შრომის 7 სკოლა, რომელსაც რ. | გზის სამმართველო ინახავს და განათლების კომისარიატის სასკოლო ნაწილის სკოლები: 3 საცდელ-საჩვენებელი სკოლა შრომის სკოლა—კლუბი 5 შრომ. პროფსკოლა, 1 აისორთა სკოლა.

ამ სკოლებში მოსწავლეთა საერთო რიცხვი დაახლოვებით 3.960-ს უდრის.

ამასთან უსათუოდ უნდა აღინიშნოს, თუმცა შრომის პრინციპი აკავშირებს ყველა ამ სკოლებს, მაგრამ კერძო შრომის სკოლებად აღმასკომის 82 შრომის სკოლასთან ჩაითვლება 7 შრომის სკოლა (რკ. გზის სექციისა) და განათლების კომის. საცდელ-საჩვენებელი 3 სკოლა, შრომის სკოლა-კლუბი და 1 აისორთა სკოლა.

გადავიდეთ აღმასკომის სკოლებზე. ქალაქის თორმეტ უბანში სასკოლო ჰასაკის ვაჟთა რაოდენობა უდრის 32,591-ს, ამ რიცხვიდან შრომის სკოლებში სწავლობს 11,850 ვაჟი.

მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით სასკოლო ჰასაკის მცხოვრებლებთან შედარებით—უბნების ასეთი რიგი შეიძლება მივიღოთ: მე-3 უბანი, შემდეგ მე-10, მე-9, მე-7, მე-8, პირველი, მე-2, მე-4, მე-5, მე-11, მე-6 და მე-12.

საერთოდ ჩვენ ვხედავთ, რომ სასკოლო ჰასაკის (5—18 წლამდე) მცხოვრებ ვაჟებიდან ქალაქის აღმასკომის შრომის სკოლებში სწავლობს მხოლოდ 36,4 პრ. ე. ი. დაახლოვებით ერთი მესამედი.

რაც შეეხება ქალებს, საერთო სასკოლო ჰასაკის ქალებთან მათი შედარება შემდეგ სურათს იძლევა. სასკოლო ჰასაკის ქალთა რაოდენობა ქალაქის 12 უბანში უდრის 33699 სულს, აქედან შრომის სკოლებში სწავლობს 11,552.

მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ აქაც მესამე უბანი პირველობს (82,5 პროცენტი), შემდეგ მოყვებიან უბნები: მე-10, მე-9, მე-7, მე-4-ე, პირველი, მე-2-ე, მე-6-ე, მე-5-ე, მე-11-ე, მე-12 და მე-8-ე. ქალაქის აღმასკომის შრ. სკოლების მოსწავლე ქალების საერთო რიცხვი რომ სასკოლო ჰასაკის ქალების საერთო რიცხვს შევადაროთ, გამოვა, რომ შრომის სკოლებში სწავლობს 34,3 პროცენტი—ე. ი. დაახლოვებით სასკოლო ჰასაკის ქალების ერთი მესამედი.

ამ სურათს თუ წარსულ წლებისას შევადარებთ, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაზრდილა როგორც სკოლების, ისე მოსწავლეთა რიცხვი.

1910 წელს სკოლების რიცხვი უდრიდა სულ 25-ს. ამ ჟამად აღმასკომის შრ. სკოლათა რიცხვი 82-ს უდრის.

1910 წელს მოსწავლე ვაჟთა რიცხვი უდრიდა 2.364-ს, ე. ი. საერთო რიცხვის 53,9 პროცენტს. გასულ წელს ქალ. აღმასკომის შრ. სკოლებში 11,850 მოსწავლე ვაჟი ყოფილა,—ე. ი. საერთო რიცხვის 50,6 პროცენტი.

1910 წელს მოსწავლე ქალების რიცხვი უდრიდა 2.020-ს ან საერთო რიცხვის 46.1 პროცენტს. გასულ წელს, როგორც ვხედავთ ამას. შრ. სკოლებში ქალების რიცხვი უდრის 11,552-ს ე. ი. საერთო რიცხვის თითქმის ნახევარს (49,3 პროცენტი).

ამნაირად საგრძნობლად გაზრდილია მოსწავლეთა რიცხვი.

სასკოლო ჰასაკის მცხოვრებთა საერთო რიცხვი ყველა უბნებში 66.072-ს უდრის; აღმასკომის შრომის სკოლების მოსწავლეთა რიცხვი კი ტფილისში 23,402-ს.

ამნაირად სასკოლო ჰასაკის 100 მცხოვრებზე 35,4 მოსწავლე მოდის.

საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის კვების გამოკვლევისათვის

ჩვენს წინა წერილში შევეხეთ ქალაქთა მოსახლეობის კვების გამოკვლევის საკითხს და აღვნიშნეთ როგორც მისი შინაარსი, აგრეთვე ის მიზნები, რომელიც უყენია მას წინ.

მაგრამ ყველა აღნიშნული, რომ სისწორით და სინამდვილეზე მიწევნით იქნეს აღრიცხული, საჭიროა დაკვირვების ობიექტის—მოსახლეობის მიერ მასზე სწორი წარმოდგენა და შეხედულება იქნას გამომუშავებული; ამისთვის კი საჭირო ახსნა-განმარტება იმ წესების, თუ ერთის მხრივ, როგორ ირჩევა გამოსაკვლევი საკითხები და მეორეს მხრივ, როგორ სწარმოებს თვით დაკვირვების მოხდენა.

ამ ორივე მხარის გაშუქება ხელს შეუწყობს მოსახლეობაში გამოკვლევის წარმოების შესახებ სწორ წარმოდგენის გავრცელებას და მით გააადვილებს დასახული მიზნის სრულს რეალიზაციას.

კვების გამოსაკვლევ ოჯახების არჩევა ხდება სტატისტიკაში ხმარებულ ერთ-ერთი წესით-მეთოდით, სახელდობრ—მექანიკური.

შინაარსი ამ წესის მით ხასიათდება, რომ აქ დაკვირვების ობიექტის არჩევა ხდება არა რაიმე წინასწარი შეხედულების ან სუბიექტიური მიდგომის თვალსაზრისით, არამედ სრულიად უნებლიეთ—მექანიკურათ.

საქართველოს დიდ-ქალაქებში—ტფილისში, ქუთაისში, ფოთში და სოხუმში გამოკვლეულ უნდა იქნას არსებული ბინების 2 პროც. (1922 წლის ნოემბრის საქალაქო აღწერის მასალების მიხედვით), ხოლო დანარჩენ პატარა ქალაქებში ბინათა—4 პროც. ამნაირათ, დიდ ქალაქებში 100 ბინიდან ირკვევა ორი ბინა და პატარა ქალაქებში-კი ოთხი ბინა. სწორეთ აღნიშნულ ბინების რაოდენობა შეადგენს დაკვირვების ობიექტს და სწორეთ ისინი ირჩევიან აღნიშნული მექანიკური წესით. ამ შემთხვევაში მექანიკური წესი შემდეგ სახეს იღებს: დიდ ქალაქებში—სადაც იკვლევა ასი ბინიდან ორი ბინა, გამოსაკვლევათ იქნება აღებული ორმოცდა მეათე და მეასე ბინა, სულ პატარა ქალაქებში—ოცდა მეხუთე ორმოცდა მეათე, სამოცდა მეთხუთმეტე და მეასე ბინა. იმის მიუხედავათ, თუ ვინ სცხოვრობს ამ ბინაში—ღარიბი თუ მდიდარი, მუშა თუ მოსამსახური, ვექილი თუ ექიმი, ქართველი თუ სომეხი და ასე—ამ ნაირათ. გამონაკლისი, ბინების ასე მექანიკურათ აღების საქმეში შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ ორ შემთხვევაში: როდესაც გამოსაკვლევათ მოხვედრილი ოჯახი გარედან იღებს სადილებს ან გარეთ საზრდოობს და როდესაც ბინაში სცხოვრობს მხოლოთ ერთი ადამიანი—მარტოხელი. ამ შემთხვევაში გამოსაკვლევათ იქნება შეხვედრილ ბინის წინა ან თანამომდევრო ბინა, მაგ. შეგვხვდა 50-ე ბინათ მარტოხელი, ამ შემთხვევაში მას-კი არ ვიღებთ გამოსაკვლევათ, არამედ 49-ე ან 51 ბინას. თუ გამოსაკვლევათ მოხვედრილ ბინაში სცხოვრობს რამდენიმე ოჯახი, აიღება ამ შემთხვევაში უფრო მრავალრიცხოვანი ოჯახი.

ეს გამოკვლევა ზოგიერთი ქალაქებისათვის თანამიმდევრობით არის მეორე და ამ ქალაქებში წრეულს გამოსაკვლევათ აღებული იქნება ისევ ის ბინები, რომელიც იყო შარშან, რათა ამით უფრო ნათლათ დავინახოთ თუ რა ცვლილებები მოხდა მოსახლეობის კვებაში შარშანდელს აქეთ და თუ ცვლილებებს ადგილი აქვს, საით გადაიხარა იგი—გაუარესებისაკენ თუ გაუმჯობესებისაკენ. გარდა ამისა, შარშან გამოკვლეული ოჯახები უკვე დარწმუნდნენ, რომ მაშინ ჩატარებულ გამოკვლევას მათთვის საზიანო არაფერი მოუტანია და ამის მიხედვით, წრეულს ისინი უფრო მეტი ნდობით იქნებიან აღჭურვილნი, ვიდრე ეს იყო შარშან.

უკანასკნელ შემთხვევაში, — თუ შარშანდელ ბინის მდგმური აღნიშნული ბინიდან გადავიდა, მაში გამოსაკვლევათ იქნება აღებული მაინც ისევ ეს ბინა—ხოლო გამოკვლეულ იქნება ახალი მდგმური, რომელიც მასში სცხოვრობს. ამით ისევ დაცულია ის მექანიკური პრინციპი, რომლითაც შარშან იქნა არჩეული გამოსაკვლევათ აღებული ბინები. მსგავსათ წრევანდელის.

შარშანდელი გამოკვლევით მიღებული მასალა უკვე დამუშავებულია და მისი გამოქვეყნების საქმე არის უახლოესი დღეების საკითხი.

გამოკვლევა გაგრძელდება სულ 4 დღეს.

ლ. კარბელაშვილი.

ტფილისის საბჭოს არჩევნები

არჩეულნი არიან:

1) **მშენებელთა მიერ** ამხ. ამხ. ალლაძე (კომუნისტი), მიქასიანი (კომ.), ფიალკოვსკი (კომუნისტი), რიკენბერგი (ახ. კომ. კავ. წევრი), ნინუა ივანე (ყოფილ მენშევიკი); კანდიდატებად ვარდანოვი, ქეიშვილი, გერმაშვილი.

2) **ა | კ. სახარეო ვაჭრობის მატყლეულობის საწყობის, მთავარი ბამბის კომიტეტის და ამხანაგობა „Шерсть"-ის მუშა-მოსამსახურეთა და მუშა ქალებისაგან.** ამხ. ამხ. ნინა ალაჰალოვის ქალი (კომ), კონსტ. მატინიანცი (კომუნისტი), პელაგია ზუბცოვის ქალი (უპარტიო). კანდიდატად: ტიგრანუმ ასრიანი.

3) **ჟელაბრის [illegible] მუშა-ქალებისაგან.** ამხ. ამხ. ვოლჩეკის ქალი (კომუნისტი), ადამიაძის ქალი (კომუნისტი); კანდიდატად მარიამ დარჩიანი (უპარტიო).

4) **ქარხანა „ტემზას" მუშებისაგან** ამხ. ჩოდრიშვილი (კომუნისტი) და კანდიდატებად: ამხ. ოსტაბაშევი (ახ. კომ. კავ. წევ.).

5. **მდინარის წისქვილების მუშებისაგან** ამხ. მელაძე (კომ.) და ავეტისოვი (უპარტიო).

6. **მიხეილის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეებისგან** ამხ. ამხ. თარხანოვი (კომუნისტი) კანდიდატად მუშა ტიუნლოვი (უპარტიო).

7) **განათლების მუშაკთაგან** ამხ. კანდელაკი (კომუნისტი), მარიამ ორახელაშვილი (კომ.), შავერდოვის ქალი (კომ.), ქაცარავა (კომუნისტი), ქართველიშვილი (უპარტიო), სოკოლოვსკი (კომ), პოღოსიანი (უპარტიო), კიკნაძე (კომ.), ბეკერი (კომ.), გეგენავა (კომ.), მდივაშვილი (უპარტიო), წულუკიძის ქალი (კომ), ბებურიშვილი (პარტ.), შილკოვის ქალი, კვირკველია ამაღლობელი, მჭედლიშვილი (უპარტიო), ზახტარიანი (უპარტიო), ჯაფარიძე ალ. (კომ.), ასლანოვი (უპარ), ვართაპეტიანი (კომ.), პროცენკო, ჯაიანი (უპარტიო), ბეჟანოვი, ზირაქაშვილი (უპარტიო), ქორქია, მეძმარიაშვილი (კომუნისტი).

რას ლაპარაკობენ ჩვენი არჩევნები

როგორ ხასიათს ატარებს და როგორ შედეგებს იძლევა მიმდინარე არჩევნები ტფილისის საბჭოში?

თამამად და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მუშები, მთელი ტფილისის პროლეტარიატი სრულ ნდობას და სიმპატიას უცხადებენ კომუნისტურ პარტიას, რაშიაც ჩვენ ვრწმუნდებით სხვადასხვა ადგილებში მომხდარ საარჩევნო კრებების შედეგებით.

დამახასიათებელი და აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მომხდარ არჩევნებზე მტკიცედ და ხმამაღლა გამოდიოდენ ყოფილი მენშევიკები, ამ ჟამად საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგარნი და მოუწოდებდენ კრებებს საბჭოში კომუნისტების არჩევისაკენ.

ამას ამტკიცებენ, ყოფილი მენშევიკები ამხ. ამხ. ოგანოვისა და ლაპკინის გამოსვლები, მკერავებისა და ცენტროტრამოტის მუშათა კრებებზე, სადაც თვით აღნიშნული ამხანაგებიც იქნენ არჩეული ტფილისის საბჭოში.

ისინი აცხადებენ, რომ მხოლოდ კომპარტია, მხოლოდ კომუნისტები არიან მუშათა კლასის ინტერესების დამცველი და ამიტომ ჩვენ საბჭოში ისინი უნდა ავირჩიოთ.

არსებითადაც მთელი საარჩევნო კომპანია საქმიანი ხასიათისაა.

ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ მუშები საბჭოსთვის წამოყენებულ „ნაკაზ"-ს სერიოზულად ხვდებიან, მის ყოველ წვრილმანს ყურადღებით არჩევენ შიგა და შიგ თავის აზრსაც ამატებენ და ისე ამტკიცებენ და ღებულობენ მას.

მაგალითად, ტრამვაის მუშებმა „ნაკაზ"-ს დაუმატეს 9 მუხლი, რასაკვირველია მნიშვნელოვანი.

მართლაც „ნაკაზი"-ს იმ მუხლში, რომელიც ახალგაზრდობისათვის ზრუნვას შეეხება, სრულიად მიზანშეწონილად არის მოთხოვილი ჩვენი მუშების მიერ ახალგაზრდა უმუშევრებისთვის სახლის, ტრანსპორტზე საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის გახსნა და საერთოდ დიდი ზრუნვა მუშათა აღმზრდელობისათვის.

შეკოლოფევებმა (კოლოფ. ფაბრ. „ინტერნაციონალი") მიუთითეს მომავალ საბჭოს საბინაო კრიზისის მოგვარების, მუშათა სახლების შეკეთების და გლეხის სახლის გახსნის საჭიროებაზე.

საარჩევნო კრებების რეზოლიუციები უმთავრესად ეხებიან სკოლის საკითხებს „მიეცით ჩვენს შვილებს კულტურა - განათლება"-ო ამბობენ მუშები.

ყველა ეს მცირე, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი შესწორებები მუშების მიერ „ნაკაზ"-ში შეტანილი ნათლად ამტკიცებენ იმას, რომ ჩვენ მუშებს კარგად ესმით შეგნებული და ადვილად ერკვევიან ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის როგორც შინაურ, ისე საგარეო ცხოვრების ყველა საკითხებში.

საერთოდ ქალ. ტფილისის ყველა მშრომელნი, როგორც ერთი, მიისწრაფვიან ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესებისა და საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებისაკენ და, რასაკვირველია, საბოლოოდ მხედველობაში იღებენ მსოფლიო რევოლიუციის და კომუნისტურ ინტერნაციონალის გამარჯვებას.

მუშკორი მ.

განათლების მუშაკთა შორის

რუსთველის თეატრი ძალზე გატენილია ამრჩევლებით. თეატრი ყველა მოსულს ვერ იტევს. უცდიან საარჩევნო კომისიას. 12 საათზე ფარდა იხდება და ამხ. ყურულაშვილი განათლების მუშაკთა საარჩევნო სხდომას გახსნილად აცხადებს.

პირველი სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. მიასნიკოვს, რომელიც მოკლე მოხსენებას აკეთებს წარსულ საბჭოთა აღმშენებლობაზე—ყოველ დარგში და განსაკუთრებით სწავლა-განათლების სფეროში. იგი მოკლედ არკვევს, თუ რა გაკეთდა სასოფლო მეურნეობაში რესპუბლიკის მასშტაბით, აგრეთვე როგორი მუშაობა სწარმოებდა ქვეყნის ინდუსტრიის აღორძინებლად და ელექტროფიკაციისათვის. მრავალ დაბრკოლების მიუხედავათ, ყოველ დარგში საკმაო და შრომის უნარი გამოიჩინა საბჭოთა ხელისუფლებამ. დიდი წარმატება ემჩნევა სწავლა-განათლების საქმეს, რაც სახელმწიფოს განათლებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებით აიხსნება. სახელმწიფოს საერთო ბიუჯეტის 55 პროცენტი იხარჯება სწავლა-განათლების საქმეებზე. საქართველოს მდგომარეობა განათლების მხრივ შედარებით ა. | კ. სხვა რესპუბლიკებთან საუკეთესოა. საქართველოს სკოლებში 90-ათასზე მეტი მოწაფე სწავლობს, ხოლო სტუდენტების რაოდენობა 10 ათას უდრის.

მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ საქართველოს ერთი პირველი ადგილი უკავია ახლო-აღმოსავლეთის რესპუბლიკებში. ლიტერატურის და მეცნიერების გამომცემლობა დღეს საქართველოში ისეა დაყენებული, რომ ასე არასოდეს არ ყოფილა. იცემა დიდძალი ლიტერატურა, როგორც მხატვრულ-მეცნიერული შინაარსისა, ისე პოლიტიკური. აღორძინების გზას ადგას აგრეთვე ქართულ თეატრი და მუსიკა. განათლების მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობაც წარსულ წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა. ეს ნაყოფიერი მუშაობა არის შედეგი იმისა რომ ხელისუფლების სათავეში უდგას მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლნი, რომელთა, ხელ-ახალ არჩევისაკენ მოუწოდებს დამსწრეთ ამხ. მომხსენებელი.

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. ნ. ცერცვაძე, რომელიც აღნიშნავს ნაკლს წარსულ მუშაობაში, აფრთხილებს მომავალ დეპუტატებს გამოასწორონ იგი და მოუწოდებს მათ მომავალ ენერგიულ მუშაობისაკენ.

ამხ. ცერცვაძის შემდეგ კრებას მოთხოვნით ამხ. გეგენავა კითხულობს ქართულ ენაზე „ნაკაზს", რომელიც ერთხმად იქნა მიღებული. დასასრულ მოხდა არჩევნები.

ინფ. წ.

საქართველოს საბჭოთა დაწესებულებების გამოკვლევა

საბჭოთა მუშაკების შემადგენლობის და მათი მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა 1924 წლის 1 თებერვალს მოეწყოს საბჭოთა დაწესებულებების ერთდროული გამოკვლევა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მიერ წარმოდგენილ პროგრამის თანახმად უნდა გამოირკვეს მოსამსახურეთა შემადგენლობა პროფესიის, სამსახურის სტაჟის, განათლების, წლოვანების, ეროვნების და სხვა ნიშნების მიხედვით. გამოკვლევას მოახდენს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო.

აღნიშნული გამოკვლევა დღევანდელ პირობებში ფრიად დიდ მნიშვნელობისაა, ვინაიდან საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეს არის პირველი და ერთად-ერთი გამოკვლევა როგორც თავის დანიშნულებით, აგრეთვე პროგრამის მხრით. მუშა-მოსამსახურეთა რეგისტრაცია 1920 წელს მოახდინა შრომის სამინისტრომ, მაგრამ ის იყო დაკავშირებული სახელმწიფო მომარაგების ფონდის მოწყობასთან და მიზნად ისახავდა სახელმწიფო ხარჯზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის, მათი სასურსათო რესურსების და მიწასთან კავშირის გამოკვლევას.

დიდ ქალაქებში გამოიკვლევა მეურნეობათა 2 პროც., ხოლო მცირე ქალაქებში—4 პროც. გამოკვლევა იწარმოებს მიმდინარე დეკემბერს 3 დღის განმავლობაში.

მეცნიერება და ტეხნიკა

შაქარი ყურძნიდან.

ყვავილ დალიას ყველა იცნობს,—მაგრამ შეიძლება არავინ იცოდეს, რომ მას სთესდენ და ამრავლებდენ კომერციული მიზნებით მისი შაქრის მისაღებად. კალიფორნიაში მრავალი ათასი დესეტინა უჭირავს დალიას. მიუხედავათ იმისა, რომ ის ნაკლებ შაქარს შეიცავს, ვიდრე შაქრის ლერწამი ან ჭარხალი

დალიას შაქარი ერთად ერთი ხილის შაქარია, რომლითაც შეუძლია სარგებლობა დიაბეტით (შაქრის ავადმყოფობა) ავადმყოფებს კალიფორნიაში. სტატისტიკური ცნობებით დიაბეტიკების რიცხვი ძლიერ გაიზარდა და მეცნიერები დიდხანს ეძებდენ შაქარს, რომელიც ზიანს არ მოუტანდა დიაბეტიკების ორგანიზმს. დიაბეტიკების რიცხვი კალიფორნიაში ერთ მილიონამდი აღწევს და ამრიგად დალიას შაქრის მიღების ფორმულის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა მთელი ქვეყნისათვის.

ახალი შაქარი ჩვეულებრივ შაქარზე ტკბილია და იხმარება მხოლოდ საექიმო მიზნებით. (ევროპაში, ჩაისა და ყავის გამოჩენამდი, შაქარს თვლიდენ წამლათ ან ფუფუნებათ, მაგრამ მასზე არ იყო ისეთი დიდი მოთხოვნილება, როგორც ამჟამად). დალიიდან შაქრის მიღების ფორმულაზე მუშაობდენ სამხრეთ-კალიფორნიის უნივერსიტეტის ლაბორატორიებში და ამჟამად ექიმი ლერდ სტებლერი, რომელიც ამ ლაბორატორიულ მუშაობას ხელმძღვანელობდა, მას დასრულებულათ სთვლის, დღემდი დიაბეტიკებს ექიმები მხოლოდ საზარინის "შაქრების უფლებას აძლევდენ და იმ საკითხის გამო, თუ რამდენათ მარგებელი თუ საზიანოა საზარინი ორგანიზმისათვის, ექიმები ორ ბანაკათ გაიყვენ.

მიწისძვრების მიზეზი.

ფრანგმა გეოლოგმა ბელომ საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიაში წაიკითხა მეტად საინტერესო მოხსენება მიწისძვრების მიზეზების შესახებ. თავის მოხსენებაში ბელო ამტკიცებდა, რომ უკანასკნელი მიწისძვრანი, მათ რიცხვში იაპონიის მიწისძვრაც, გამოწვეულია მიწის ქერქში დიდძალი წყალის შეჭრით და არა დედამიწის ზედაპირის დანაოჭებით მიწის გაცივების გამო, როგორც სხვა მეცნიერები ამტკიცებენ. ბელო ფიქრობს, რომ ზღვის სიღრმეში ხდება ზღვის ფსკერის ვულკანიური მოძრაობა, რომელიც თავის მხრით მატერიკების ნაპირებზე იწვევს ნიადაგის გარღვევას. ზღვის ფსკერის გარღვევის დროს ხდება პირველი მიწისძვრა. ზღვა იჭრება უზარმაზარი ხვრელებში და იწვევს მიწისძვრებს, ისეთს, როგორიც იაპონიაში იყო. ამავე დროს ზღვის შეჭრა ამ ხვრელებში იწვევს ზღვის ზედაპირის ერთბაშად დაწევას, რის გამო მეორე ადგილს ჩნდებიან უზარმაზარი ტალღები.

პროფესორ ბელოს განცხადება, რომელმაც ხანგრძლივი კამათი გამოიწვია აკადემიაში, სრულიად ახალ აღმოჩენას წარმოადგენს გეოლოგიაში. ეს აღმოჩენა სრულიად ახალ პერსპექტივებს აყენებს მთელი ქვეყნის მეცნიერების წინაშე, განსაკუთრებით—რამდენადაც საქმე შეეხება მიწის ძვრის წინასწარი სიმპტომების შემჩნევას.

როგორ უნდა იქნას აცილებული შინა-პარტიულ ცხოვრების დეფექტები.

როგორი უნდა იყოს ზომები ამ დეფექტების თავიდან ასაცილებლად?

პირველყოვლისა—საჭიროა შეუწყვეტელი ბრძოლა ჩვენ პარტიაში სამხედრო დროის ნაშთების და ჩვეულებების წინააღმდეგ. ბრძოლა იმ არასწორ შეხედულების წინააღმდეგ, რომ პარტია არის თითქოს დაწესებულებათა სისტემა და არა პროლეტარიატის მებრძოლი ორგანიზაცია, აქტიურად მოაზროვნე, თვითმოქმედი, ცხოველმყოფელი ორგანიზაცია, რომელიც ანგრევს ყოველივე ძველს და აშენებს ახალს.

მეორე—საჭიროა პარტიულ მასებში აქტივობის გაძლიერება იმით, რომ მათ წინაშე განსახილველად დასმულ უნდა იქნას მათთვის საინტერესო საკითხები, რამდენადაც ეს საკითხები შეიძლება განხილულ იქნას ღია სხდომაზე და უზრუნველყოფილი უნდა იქნას პარტიულ ინსტანციების ყოველგვარი ნააზრევის თავისუფალი კრიტიკის შესაძლებლობა. ვინაიდან მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება პარტიულ დისციპლინის ნამდვილ შეგნებულ, რკინის დისციპლინად გარდაქმნა, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შესაძლებელი იქნება პარტიულ მასების პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურულ გამოცდილებით აღჭურვა, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შესაძლებელი გახდება ისეთი პირობების მომზადება, რომლებიც საჭიროა ამისათვის, რათა პარტიულმა მასებმა ქვევიდან გამოჰყონ ახალი აქტიური მუშაკები და ხელმძღვანელები.

მესამე—საჭიროა საქმით გატარდეს ყველა პარტიულ ორგანიზაციების და თანამდებობის პირთა არჩევის სისტემა, რამდენადაც არ არსებობს დაუძლეველი პირობები, როგორც, მაგალითად, პარტიულ სტაჟის უქონლობა და სხვა. უნდა განიდევნოს პრაქტიკიდან ორგანიზაციების უმრავლესობის ნებისყოფის უყურადღებოდ დატოვება პასუხსაგებ პარტიულ თანამდებობაზე ამხანაგების დასახელების დროს; არჩევნებითი სისტემა გატარებულ უნდა იქნას ცხოვრებაში.

მეოთხე—საჭიროა, რათა ცეკასთან, საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებთან არსებობდენ ყველა დარგების, პასუხისმგებელ მუშაკების, სამეურნეო დარგში მომუშავეთა, პარტიულების, პროფესიონალისტების და სამხედრო მუშაკების მუდმივად მომქმედი თათბირები: რათა თათბირები იმართებოდეს რეგულიარულად, რათა თათბირებზე დასმულ იქნას ისეთი საკითხები, რომლებსაც იგი საჭიროთ მიიჩნევს, რათა ყოველი დარგის მუშაკთა შორის კავშირი არ შესწყდეს, რათა ყველა ეს მუშაკები გრძნობდენ თავს ერთი პარტიული ოჯახის წევრებათ, ყველასათვის საერთო. საქმისათვის, პროლეტარიატის საქმისათვის მომუშავეებათ, რათა ცეკას და ყველა ადგილობრივ ორგანიზაციების ირგვლივ არსებობდეს ისეთი პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემს პარტიას შეამოწმოს ყველა დარგებში მომუშავე პასუხისმგებელ მუშაკთა მოღვაწეობა.

მეხუთე—საჭიროა ჩვენი საწარმოვო დაწესებულებათა იაჩეიკები ჩაბმულ იქნან იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებებსა და ტრესტებში მუშაობის მიმდინარეობასთან. საჭიროა დაყენებულ იქნას საქმე, რომ იაჩეიკები იყონ ჩვენი წარმოებების მმართველ ორგანოების მუშაობის კურსში, რათა მათ იქონიონ გავლენა ამ მუშაობაზე. თქვენ, როგორც იაჩეიკების წარმომადგენლებმა, იცით რამდენად დიდია ჩვენი საწარმოვო იაჩეიკების მორალური პასუხისმგებლობა უპარტიო მასების წინაშე საწარმოვო დაწესებულებებში მუშაობის მიმდინარეობისათვის. რათა იაჩეიკას შეეძლოს უპარტიო მასის ხელმძღვანელობა ქარხანაში, რათა მას შეეძლოს პასუხისმგებლობა წარმოებაში საქმის ვითარებისათვის,—იგი მორალურად პასუხისმგებელია წარმოების დეფექტებისათვის უპარტიო მასების წინაშე,—იგი უნდა იყოს ამ საქმეების კურსში, მას უნდა ჰქონდეს საშუალება ასე თუ ისე გავლენა იქონიოს ამ საქმეებზე. საჭიროა ამიტომ, რათა იაჩეიკები ჩაბმული იქნენ წარმოებასთან დაკავშირებულ სამეურნეო საკითხების განხილვაში, რათა დროგამოშვებით იკრიბებოდენ ტრესტის შემადგენლობაში შემავალ საწარმოვო დაწესებულებათა იაჩეიკების წარმომადგენელთა კონფერენციები, ტრესტის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად,—ეს არის ერთ-ერთი სწორი გზა, რომელიც საჭიროა პარტიულ მასების როგორც სამეურნეო გამოცდილების გასამდიდრებლად, ისე ქვევიდან კონტროლის გასატარებლად.

მეექვსე— საჭიროა გაუმჯობესებულ იქნას ჩვენი პარტიული იაჩეიკების შემადგენლობის ხარისხი. ამხ. ზინოვიევის წერილში აღნიშნული იყო, რომ ზოგ ადგილებში ჩვენი პარტიული იაჩეიკები თავიანთი ხარისხით ჩამორჩენ მათ გარშემო მყოფ უპარტიო მასებს. ეს განცხადება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავრცელდეს ყველა იაჩეიკებზე. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, მაგალითად, ასე: ჩვენი პარტიული იაჩეიკები კულტურულად უფრო მაღლა იდგომებოდენ, ვიდრე დღეს, და უფრო მეტი ავტორიტეტით ისარგებლებდენ უპარტიოებს შორის, თუ ჩვენ ამ იაჩეიკებს არ გავალატაკებდით, თუ ამ იაჩეიკებიდან ჩვენ არ გამოვიყვანდით ისეთ პირებს, რომლებიც იძულებული ვართ, გავგზავნოთ სამეურნეო, ადმინისტრატიულ, პროფესიონალურ და ყოველგვარ სხვა სამუშაოზე. თუ რომ ყველა ჩვენი ამხანაგები, იაჩეიკებიდან ამ 6 წლის განმავლობაში გაყვანილი კადრები, დაბრუნდებოდენ თავიანთ იაჩეიკებში, განა მაშინ საჭირო იქნებოდა მტკიცება, რომ ეს იაჩეიკები გაცილებით უფრო მაღლა იდგომებოდენ, ვიდრე თუნდაც ძალიან განვითარებული უპარტიო მუშები?

სწორედ იმიტომ, რომ პარტიას არ მოეპოვება სხვა კადრი სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად, სწორედ იმიტომ, რომ პარტია იძულებულია კვლავაც ამ წყაროებით ისარგებლოს,—სწორედ ამიტომ ჩვენი იაჩეიკები მომავალშიაც იკოჭლებენ კულტურულ განვითარების მხრივ, თუ არ მივიღებთ სასწრაფო ზომებს მათი ხარისხობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად. საჭიროა უწინარეს ყოვლისა, გაძლიერებულ იქნას პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა იაჩეიკებში, საჭიროა, გარდა ამისა, უკუვაგდოთ ის ზედმეტი ფორმალიზმი, რომელსაც იჩენენ ხანდახან ჩვენი ორგანიზაციები ადგილებზე პარტიის წევრებად ამხანაგ მუშების მიღების დროს. მე ვფიქრობ, რომ ფორმალიზმით გატაცება საჭირო არ არის; პარტიამ უნდა გააადვილოს პარტიაში მუშათა კლასის რიგებიდან ახალი წევრების მიღების პირობები. ეს საქმე უკვე დაწყებულია ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ, პარტიამ ხელი უნდა მოჰკიდოს ამ საქმეს და დაიწყოს სათანადო კამპანია იმისათვის, რათა გააადვილოს პარტიაში მუშათა წრიდან ახალ წევრების შემოსვლა.

მეშვიდე—საჭიროა გაძლიერებულ იქნას მუშაობა უპარტიო მუშებს შორის. ესეც ერთი იმ საშუალებათაგანია, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს პარტიის შინაური მდგომარეობა და გააძლიეროს პარტიულ მასების აქტივობა. მე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ჩვენ საბჭოთა ორგანოებში უპარტიო მუშების ჩაბმას. ავიღოთ, თუნდაც, ამჟამად დაწყებული არჩევნები მოსკოვის საბჭოში.

მე ვფიქრობ, რომ ამ არჩევნების ერთი მთავარი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ უპარტიოების რიცხვი ძალიან ცოტა გადის. ამბობენ, რომ არსებობს ორგანიზაციის დადგენილება, რომლის თანახმად გაყვანილი უნდა იქნას უპარტიოების ამდენი და ამდენი რაოდენობა, ამდენი და ამდენი პროცენტი. მაგრამ მე ვხედავ, რომ ნამდვილად კი არჩევნებში გაჰყავთ გაცილებით ნაკლები რაოდენობა. ამბობენ, რომ მასებს სურთ თითქოს მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტების არჩევა. ამხანაგებო, მე ამაში ეჭვი მეპარება: მე ვფიქრობ, თუ ჩვენ მინიმალურ ნდობას მაინც არ გამოვიჩენთ უპარტიოებისადმი, პასუხად მივიღებთ ასეთსავე უნდობლობას ჩვენი ორგანიზაციებისადმი უპარტიოების მხრივ. ეს ნდობა უპარტიოებისადმი აბსოლიუტურად საჭიროა.

ამხანაგებო, საჭიროა ვაიძულოთ კომუნისტები მოხსნან თავიანთი კანდიდატურა, საჭირო არ არის სიტყვების წარმოთქმა იმის შესახებ, რომ არჩეულ იქნან მხოლოდ კომუნისტები, უნდა წავაქეზოთ უპარტიოებიც, უნდა ჩავაბათ ისინი სახელმწიფოებრივ მუშაობაში. ჩვენ ამის ნაცვლად მივიღებთ უპარტიო მასების საპასუხო ნდობას ჩვენი ორგანიზაციებისადმი. მოსკოვის არჩევნები საუკეთესო ნიმუშია იმისა, რამდენად კარიკატურულ შემოფარგლულ პარტიულ ცხოვრებას იწყებენ ჩვენი ორგანიზაციები, ნაცვლად იმისა, რომ გააფართოვონ თავიანთი მოქმედების ასპარეზი, და თანდათან დარაზმონ თავის გარშემო უპარტიოები.

მერვე—საჭიროა გაძლიერებულ იქნას მუშაობა გლეხთა შორის. მე ეს ვიცი, რატომ არ უნდა შესძლონ ჩვენმა იაჩეიკებმა, სოფლებში, რომლებიც დღითი დღე იფიტებიან, საიდანაც ხანდახან ხალხი გარბის, რომლებიც ვერ სარგებლობენ დიდი ნდობით გლეხთა შორის (ეს უნდა ვაღიაროთ),—რატომ არ უნდა შესძლონ ამ იაჩეიკებმა დააყენონ ორი პრაქტიკული ამოცანა. ჯერ-ერთი თავს იდვან გლეხის ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ საბჭოთა კანონების განმარტება და გავრცელება და მეორე—თავს იდვან ელემენტარული აგრონომიული ცოდნათა გავრცელება თუნდაც იმის შესახებ, რომ საჭიროა თავის დროზე დაიხნას მინდვრები, გაიწმინდოს თესლი და სხვა. იცით თქვენ, ამხანაგებო, რომ თუ თვითეული გლეხი გადასწყვეტს მცირეოდენი შრომა მოანდომოს თესლის გაწმენდას, შესაძლებელია ყოველგვარი მელიორაციის გარეშე და ახალ მანქანების დაუხმარებლად მოსავლიანობის გადიდება 10 ფუთით მაინც დესეტინაზე? კარგათ მოგეხსენებათ, თუ რას ნიშნავს დესეტინაზე მოსავლის 10 ფუთით გადიდება. ეს ნიშნავს ყოველწლიურად მილიარდ ფუთის მომატებას. და ყველაფერ ამის მიღწევა სულ ადვილად შესაძლებელი იყო. რატომ არ უნდა მოეკიდოთ ხელი ამ საქმისათვის ჩვენ სასოფლო იაჩეიკებს განა ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია ვიდრე კამათი კერზონის პოლიტიკის შესახებ? გლეხი მაშინ გაიგებდა, რომ კომუნისტებმა თავი გაანებეს ლაყბობას და ისინი შეუდგნენ საქმის კეთებას, მაშინ კი ჩვენი სოფლის იაჩეიკები მოიპოვებდენ უდიდეს ნდობას გლეხთა შორის.

მე უკვე არ შევეხები იმას, თუ რამდენად საჭიროა პარტიული ცხოვრების გაუმჯობესება-გაცხოველებისათვის ახალგაზრდობის შორის პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, იმ ახალგაზრდობის შორის, რომელიც იძლევა წითელი არმიის ახალ კადრებს. არ შევეხები აგრეთვე, რამდენად საჭიროა მუშაობის გაცხოველება დელეგატ ქალებსა და საერთოდ უპარტიოებს შორის.

აღარ გავაგრძელებ სიტყვას აგრეთვე იმის შესახებ, რამდენად საჭიროა ჩვენთვის ინფორმაციის გაფართოება, რაზედაც მე უკვე მოგახსენეთ, ინფორმაციის გაძლიერება ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით.

ასეთია, ამხანაგები, გაუმჯობესების ის ზომები, ის გზები პარტიის შინა დემოკრატიაზე, რომელიც ცეკამ გამოიმუშავა ჯერ კიდევ ამა წლის სექტემბერში, და რომლის ცხოვრებაში გატარება საჭიროა ქვევიდან ზედა ფენებამდე.

ეხლა მე მინდა შევჩერდე ორ უკიდურესობაზე, მუშათა დემოკრატიის საკითხით იმ გატაცებაზე, რომელიც გამოაშკარავდა ზოგიერთ სადისკუსიო წერილებიდან „პრავდა"-ში.

პირველი უკიდურესობა ეხება არჩევნების სისტემას.

იგი მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი ამხანაგები მოითხოვენ არჩევნებს „ბოლომდის". რადგანაც არჩევნების სისტემა მივიღეთ, მაშ ავირჩიოთ ბოლომდის! პარტიული სტაჟი? რათ გვინდა იგი? აირჩიე, ვინც გსურს. ასეთი შეხედულება, ამხანაგებო, შეცდომაა. მას პარტია ვერ მიიღებს. მართალია, ჩვენ აღარ ვიმყოფებით ომის პირობებში, ჩვენ გავედით მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, მაგრამ ჩვენში არსებობს ახალი ეკონომიური პოლიტიკა. ამას ნუ დაივიწყებთ, ამხანაგებო, არა ომის დროს, არამედ ომის შემდეგ პარტია შეუდგა წმენდას. რატომ? იმიტომ, რომ ომის დროს დამარცხების შიში აკავშირებდა პარტიას ერთ მთლიან სხეულში, და ზოგიერთი დამშლელი ელემენტები პარტიის შიგნით იძულებული იყვნენ გაეხარათ საერთო ხაზი პარტიაში, რომლის წინაშე დასმული იყო ყოფნა-არყოფნის საკითხი. ეხლა ეს მუხრუჭები ჩვენ აღარ გვიჭერენ, ვინაიდან აღარ არის ომი, ეხლა ჩვენში ახალი ეკონომიური პოლიტიკაა, ჩვენ დაუშვით კაპიტალიზმი, აღორძინების გზაზეა დამდგარი ბურჟუაზია. მართალია ყველაფერი ეს მიმართულია პარტიის გაწმენდისაკენ, მისი განმტკიცებისაკენ, მაგრამ, მეორეს მხრივ, ჩვენ ვეხვევით აღორძინების გზაზე დამდგარ ბურჟუაზიის ატმოსფერაში, ეს ბურჟუაზია, ჯერ არც ისე ძლიერია, მაგრამ მან უკვე შესძლო ზოგიერთი ჩვენი კოოპერატივების და სავაჭრო ორგანოების გადალახვა შინაურ ვაჭრობის სფეროში. სწორედ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღების შემდეგ პარტია შეუდგა წმენდას, ამ წმენდით ჩვენ დავიყვანეთ პარტია თითქმის მისი შემადგენლობის ნახევრამდე; სწორეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ პარტიამ გადასწყვიტა, რომ ჩვენი ორგანიზაციების დასაცავად ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შედეგებისაგან, საჭიროა, მაგალითად, გავართულოთ პარტიაში არა პროლეტარულ ელემენტების შესვლის პირობები, საჭიროა პარტიული სტაჟის შემოღება თანამდებობის პირთათვის პარტიაში და სხვა. სწორად მოიქცა პარტია, როცა შექმნა ეს წინასწარ გამაფრთხილებელი ზომები, რომელიც ზღუდავს „გაშლილ" დემოკრატიას? მე ვფიქრობ, რომ სწორად მოიქცა. აი ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ დემოკრატია საჭიროა, არჩევნების სისტემაც აუცილებელია, მაგრამ XI და XII ყრილობების მიერ მიღებული შემზღუდავი ზომები, თუნდაც მთავარი მათგანი, უნდა დარჩნენ ძალაში.

მეორე უკიდურესობა ეხება დისკუსიების ფარგლების საკითხს. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი ამხანაგები მოითხოვენ შეუზღუდავ დისკუსიებს და პარტიულ მუშაობის დასაწყისს და დასასრულს ხედავენ საკითხების განხილვაში, მხოლოდ ივიწყებენ პარტიული მუშაობის მეორე მხარეს, და სახელდობრ—მის მომქმედ მხარეს, რომელიც მოითხოვს პარტიის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას. ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამხ. რაჟინის წერილმა, რომელიც სცდილობს განუსაზღვრელ დისკუსიის პრინციპის დასაბუთებას, ემყარება რა ის ამხ. ტროცკის, რომელმაც თითქოს სთქვა, რომ „პარტია არის ერთნაირად მოაზროვნეთა თავისუფალი კავშირი". მე ბევრი ვეძებე ამხ. ტროცკის ნაწერებში ეს ფრაზა, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვე იგი. ძალიან საეჭვოც არის, რომ ამხ. ტროცკის შეეძლო ამის, როგორც პარტიის განმსაზღვრელი საბოლოვო ფორმულის, თქმა, და თუ მან ეს სთქვა, ვეჭვობ, რომ აქ დასვა წერტილი: პარტია არ არის მხოლოდ ერთნაირად მოაზროვნეთა კავშირი, გარდა ამისა, იგი არის ერთნაირად მომქმედთა კავშირი, ერთნაირად მომქმედ, საერთო იდეურ საფუძვლებზე მებრძოლთა კავშირი (პროგრამა, ტაქტიკა) მე საფუძვლიანად არ მიმაჩნია ამხ. ტროცკის სიტყვებზე მითითება, ვინაიდან მე ვიცნობ ამხ. ტროცკის, როგორც ცეკას ერთ-ერთი იმ წევრთაგანს, რომელიც განსაკუთრებით ხაზს უსვამს პარტიულ მუშაობის მომქმედ მხარეს. მე ვფიქრობ ამიტომ, რომ ამხ. რაჟინის განსაზღვრა უნდა დარჩეს მის პასუხისმგებლობის ქვეშ. მაგრამ საითკენ არის მიმართული ეს განსაზღვრა? ორში ერთი: ან პარტია გადაგვარდება სექტად, ფილოსოფიურ სკოლად, ან მხოლოდ ასეთ ვიწრო ორგანიზაციებში შესაძლებელია სრული ერთაზროვნება, ან იგი გადაიქცევა დაუსრულებელ სადისკუსიო კლუბად, რომელიც მუდამ განიხილავს და მუდამ იმსჯელებს, სანამ არ შეიმქნებიან ფრაქციები და არ მოხდება პარტიის რასკოლი. არც ეს შესაძლებლობა არ შეიძლება იქნას მიღებული პარტიის მიერ. აი, ამიტომ მე ვფიქრობ, რომ საკითხების განხილვა საჭიროა, დისკუსია საჭიროა, მაგრამ საჭიროა აგრეთვე დისკუსიის საზღვრებიც რომელიც დაიცავს პარტიას, პროლეტარიატის ამ მებრძოლ რაზმს სადისკუსიო კლუბად გადაგვარებისაგან.

ვათავებ რა ჩემს მოხსენებას, მე უნდა გაგაფრთხილოთ, ამხანაგებო, ამ ორი უკიდურესობის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ, თუ ჩვენ უარვყოფთ ორივე ამ უკიდურესობას და პატიოსნად და გაბედულად გავატარებთ პარტიის შინა დემოკრატიის პრინციპს, რომელიც ცეკამ შეიმუშავა ჯერ კიდევ ამა წლის სექტემბერში, ჩვენ უსათუოდ მივაღწევთ პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას. (ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

პროფტექნიკურ კურსებზე

მუშათა ცენტრალურ კლუბთან გახსნილია მელითონეთა კავშირის მიერ მოწყობილი პროფ-ტექნიკური კურსები. კურსებს განაგებს და ხელმძღვანელობს მასწავლებელი მირზოევი. კურსებზე მსმენელებად არიან უმთავრესად მელითონეები, რიცხვით 40 კაცი, მათ დიდ უმრავლესობას შეადგენს ახალგაზრდობა. მეცადინეობა სწარმოებს საღ. 6—9 საათამდე კლუბის ზემო სართულში დიდ ოთახში, ოთახი მთლად სატექნიკო სურათებით არის მორთული. გვაქვს კურსებისათვის მრავალი სასწავლო და საჭირო საგნები. მსმენელი მელითონეები წლოვანების მხრით არიან 23—35 წლამდე.

75 პროც. მსმენელებისა ემზადება მუშფაკში, და დიდს ენერგიას და მუყაითს იჩენენ ისინი სწავლაში. იღებენ „ნახაზებს“, მანქანის ნაწილებს, ელემენტარული საშუალებით იკვლევენ ლითონის ტექნოლოგიას. ამ ჟამად კურსებზე გადიან შემდეგ საგნებს: მექანიკას, ელექტრო-ტექნიკას, ლითონის ტექნოლოგიას, ფიზიკას, გეომეტრიას, ანგარიშს, მანქანმგებლობას, ტექნიკურ ხაზვას.

კვირაობით მსმენელები ატარებენ საკონტროლო მუშაობას.

კურსებთან მოწყობილია პატარა ლაბორატორია, მაგრამ მას არ აქვს სახსარი, რომ გაკეთებულ იქნეს ხარისხოვანი ანალიზი.

მუშკორი მელითონე.

ეს ასე არ უნდა ხდებოდეს

(განათლების კომისარიატის საყურადღებოდ).

სახელმწიფო დრამაში წარმოდგენების მოსმენა შეუძლებელი ხდება. სასტიკ აღელვებას იწვევს საზოგადოებაში ის „ხულიგნობა“, რომელსაც იწვევენ ქანდარიდან უმსგავსო და უპასუხისმგებლო პირები. ღრიალი, რახუნი, არაჩვეულებრივი ტაში, ერთი მხრიდან მეორე მხარეზე გადაძახება ქუჩური სიტყვების და სხვა, როგორც ანტრაქტებში, ისე წარმოდგენის დროს, თეატრში ჰქმნის ისეთ ატმოსფერას, რომ არა თუ სახელმწიფო დრამას, არამედ ცირკს და ქუჩას არ შეეფერება. ამის გამო თეატრში სიარული ბევრს, რა თქმა უნდა, შეძულებული აქვს. არც ერთ თეატრში ტფილისში,— არც ოპერაში, არც რუსულ დრამაში და სხვაგან ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს. რაშია საქმე? რა არის ამის მიზეზი? თუ შეიძლება ამის აღკვეთა სხვაგან, რატომ არ შეიძლება აღიკვეთოს ეს ქართულ დრამაში? გვინდა მაინც ვიცოდეთ რა ზომები მიიღო ადმინისტრაციამ ამის წინააღმდეგ. მიმართა როდისმე დამსწრე საზოგადოებას, რომ დახმარება აღმოუჩინოს მან ამ „ხულიგნების“ ალაგმვაში?

ამ შეკითხვაზე ჩვენ მოველით გარკვეულ პასუხს და გადაჭრილ ნაბიჯებს.

ინფორ. ა. ქ.—ძე.

მისაბაძი მაგალითი

თუმცა ხელოვნების კავშირთა მიერ იყო დადგენილება, რომ „რაბისის“ დღეს, ორშაბათს არავითარი მუშაობა არ სწარმოებდეს კინო-თეატრებში, მაგრამ მეორე რაიონის კინო-თეატრების რაიკომმა დაარღვია ეს დადგენილება და ა. წ. 10 დეკემბერს, ორშაბათს საღამოს „კინო პალასი“ მაინც ამუშავებული იქნა მეორე რაიკომის კომკავშირის წევრთა სასარგებლოდ. თავისთავად ცხადია, რომ ამ საღამოს მომუშავენი არავითარ გასამრჯელოს არ ღებულობდნენ და მთელი შემოსავალი გადაიდო ზემოხსენებულ ორგანოს სასარგებლოდ, რის გამო ხსენებულ „კინოს“ მუშა-მოსამსახურენი დიდი მადლობის ღირსნი არიან, რადგანაც ისინი ყოველივე ორგანოებს უწევენ სათანადო ანგარიშს და თავიანთ დასვენების დღესაც არ ზოგავენ იმისთვის, რომ ვინმეს სათანადო დახმარება გაუწიონ.

გაუმარჯოს ყოველივე შეგნებულ მუშა-მოსამსახურეებს!

გაუმარჯოს მათ წინამძღოლებს!

მუშკორი გ. მ—შვილი.

მუშების მახე.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

ნაძალადევში ორი დიდი მახე აქვთ მუშებს, პირველი—ჩერქეზიშვილის და იურევის ქუჩის კუთხეში, ხოლო მეორე—მაგისტრალის და იურევის ქუჩის კუთხეში. ამ უკანასკნელ ალაგებზე არსებობს სამიკიტნო; პირველში თუმცა საწყობია, მაგრამ იქ უფრო მეტი ქეიფია, ვიდრე სხვაგან. მუშა, როცა აიღებს შრომის ხელფასს და გამოდის სამუშაოდან, მას, როგორც მახე ელოდება წინ ეს მუშათა დამღუპველი ღვინის სარდაფები, მუშებს მათდა უნებურად უხდებათ შიგ შესვლა ერთი ჭიქა ღვინის დასალევად, ხოლო ერთს ჭიქას მეორე მოყვება, მეორეს მესამე და სხვა. ამრიგად მთელი თავის ერთი თვის თფლით ნამუშევარ ფულს ის აქ ხარჯავს. კარგი იქნებოდა, რომ ღვინის საწყობს აეკრძალებოდეს ლოთობის გაჩაღება თვითვე საწყობში, სამიკიტნოს კი, რომელიც ეს ორი დღეა, რაც დაკეტეს, ნება აღარ მისცემოდეს ვაჭრობის განახლებისას, ვინაიდან ხმები დადის, რომ ის დაიწყებს ვაჭრობას. ამით ჩვენ ვუშველით იმ მუშებს, რომელნიც თავისდა უნებურად იღუპებიან. იღუპებიან არა მარტო ისინი, არამედ ღუპავენ ცოლშვილს. ის კაცი, რომელიც ერთი თვის ნაოფლარს ტყუილად ვინმე მეღვინეს მისცემს, ზარალს და ზიანს აყენებს მთავრობას და აგრეთვე ძირს უთხრის რევოლუციასაც—ამიტომ სამიკიტნოები მუშათა უბნებში აუცილებლად უნდა დაიკეტოს.

მუშკორი: „ფაკ“.

რატომ ხდება უწესოება ნაძალადევის თეატრში?!

წარმოდგენის ჟამს, იმ დროს, როდესაც სცენაზე უკიდურესი ტრაგედია ტრიალებს, ამ დროს ზოგიერთი შეუგნებელი ამხანაგი უადგილო და უაზრო სიცილ-ხარხარით ხელს უშლის მსმენელებს და უწესოება შეაქვთ თეატრის ცხოვრებაში. შეუგნებელ ელემენტს ადგილი არ უნდა ჰქონდეს მუშათა წრეში.

მუშის შვილი გლ. დევაძე.

სიმართლე მზეზე უფრო ნათელია.

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი სამედიატორო სასამართლოს წევრები არჩეულნი მოწინააღმდეგე მხარეების: ნიკოლოზ საჩინოს ძე არაბიძის და დავით პორფილეს ძე გაჩეჩილაძის მიერ შესახებ იმ ბრალდებისა, რომელიც იყო მოთავსებული გაზეთ „რკინისგზელ“-ში №224—ა. წ. 22 სექტემბერს, წერილის ავტორის, დავით გაჩეჩილაძის მიერ, არაბიძეს. ბრალი ედებოდა სპეკულიაციაში ჩვენ მოვახდინეთ კვლევა-ძიება სამედიატორო სასამართლოს წესით თანახმად ორივე მხრით დადებული ხელშეკრულებისა და აღმოჩნდა, რომ წერილის ავტორი, დავით გაჩეჩილაძე სხვადასხვა ყალბი ცნობებით შეუყვანიათ შეცდომაში. ამისდა მიხედვით მას მიერ მოთავსებული წერილი ნიკოლოზ არაბიძის წინააღმდეგ არ აღმოჩნდა მართალი და ხსენებული ნიკოლოზ საჩინოს ძე არაბიძე სრულიად გამართლებული იქნა ამ ბრალდებისაგან.

სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი ყიფიანი.

მდივანი პლატონ ანთიძე.

ქრონიკა

— **დაზღვეულ ავადმყოფების დახმარებისათვის.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა ექიმებს: ცხაკაიას, ზავრიევს და კონიევს გამოეცხადოთ მადლობა, ბორჯომში მყოფ დაზღვეულ ავადმყოფებისადმი განსაკუთრებული დახმარების აღმოჩენისათვის და რესპ. სათადარიგო ფონდის ანგარიშიდან მიეცეთ ჯილდოთ—პირველს 5 ჩერვონეცი, ხოლო დანარჩენ ორს 3—3 ჩერვონ თითოს.

— **დამზღვევ კასათა გამგეების არჩევნები.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა მომავალი წლის 15 თებერვლიდან მოხდეს ყველა დამზღვევ კასათა გამგეების ხელახალი არჩევნები. ამ საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად გაზეთებში მოთავსებული იქნება თეზისები და ნაკაზები.

— **სანატორიუმი „არაზინდო“.** სანატორიუმ „არაზინდო“-ს საამშენებლო ფონდში სოც. დაზღვევის სამმართველომ ტფ. დამზღვევ კასიდან რესპ. სათადარიგო ანგარიში გადასდო 300 ჩერვონეცი.

— **თელავის მაზრის საგლეხო კომიტეტების ყრილობა.** 30 დეკემბერს ქ. თელავში შესდგება საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების წარმომადგენლების სამაზრო ყრილობა.

— **ტყეების გადაცემა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ქუთაისის მაზრაში, შუამდგომლობა აღძრა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წინაშე, რათა ქუთაისის მაზრაში არსებული ყველა ტყეები საექსპლოატაციოთ გადაეცეს საურთიერთო დამხმარე გლეხთა სასოფლო და სათემო კომიტეტებს.

— **საქართველო რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.** კვირას, 16 დეკემბერს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში (ბარიათინის ქ. № 5) აგრონომი ანდრონიკაშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „როგორ წარსდგა საქართველო რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე“.

— **საბინაო სასამართლო.** ქ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა აღმასკომის ხარჯზე ტფილისში დაარსდეს საბინაო სასამართლო.

— **პენსიები და დახმარება.** სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა ნოემბერში აღრიცხვაზე აიყვანა და პენსიები და დახმარებანი მისცა 37 ომის ინვალიდს, 502 შრომის ინვალიდს, 207 წითელარმიელების ოჯახის წევრებს და 14 დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეს.

— **სასოფლო საბჭოს გადმოტანა.** ქ. აღმასკომის დადგენილებით სასოფლო საბჭო კოჯორიდან გადმოტანილი იქნას სოფ. წავკისში.

— **აგრარულ რეფორმის გასატარებლად.** ქ. აღმასკომმა დაადგინა დაინიშნოს დამატებით კიდევ ერთი მიწისმზომელი ასურეთ-ალბულაღის რაიონში აგრარულ რეფორმის დაჩქარებით ჩასატარებლად.

— **მასწავლებელთა შტატის გადიდება.** ქ. აღმასკომმა წინადადება მისცა განათლების განყოფილებას, სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშვთათვის შრომის სკოლებთან ახლად გახსნილი 6 პარალელურ სკოლების საჭიროებისათვის მასწავლებელთა შტატი გაადიდოს 100 კაცით.

— **უმუშევართა ხელახალი აღრიცხვა.** შრომის ბირჟაში 10 დეკემბერს ხელახალ აღრიცხვაზე გამოცხადდა 429 უმუშევარი, მათ შორის აღრიცხვაზე დატოვებული იქნა 127, ხოლო 2 სრულებით მოიხსნა აღრიცხვიდან.

— **უმუშევართა დახმარება.** შრომის ბირჟის დადგენილებით, ის უმუშევარნი, რომელნიც არ გამოცხადდებიან აღნიშნულ დღეებში დახმარების მისაღებათ, დახმარების მიღების უფლება მოესპობათ.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 12 დეკემ. შრომ. ბირჟაზე ახლად ჩაეწერა 45 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა 85, მოთხოვნილება იყო—89.

— **საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოებაში.** შაბათს, 15 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ცენტრალური არქივის დარბაზში (ყოფ. ოლღას ქუჩა № 48) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც წაიკითხავენ მოხსენებას: ა) გიორგი ჯაკობია—„ვინ არის შესხმის ობიექტი იოანე შავთელის აბდულ-მესიაში“ ბ) შალვა ამირანაშვილი „ქართული კედლის მხატვრობის სანიმუშო დიდნი ახლად აღმოჩენილი რამოდენიმე ფრაგმენტი“.

კრებაზე დასწრება გარეშებსაც შეუძლიანთ.

შემთხვევები.

— **ქურდი ქალი.** 11 დეკემბერს ნაშუადღევის 4 საათზე გაქურდული იქნა მოქ. ევა დაჩიდოვის ბინა (ლერმონტოვის ქ. № 15), საიდანაც წაიღეს 500 მილიარდის ნივთები. ქურდი აღმოჩნდა ევა ზარგარიანცისა.

— **ქურდობა.** 11 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე გაქურდული იქნა მოქალაქე ისაკი გაბრიელიანცის ბინა (მცხ. ალხაზოვის და კარსაგოვის კუთხე № 5—12) წაღებულია 1 ტრილიონის და 450 მილიარდის ნივთები. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა შესაპყრობათ.

— **უბედური შემთხვევა.** 11 დეკემბერს, ნაშუადღევს 4 საათზე სადგურის მოედანზე ა.-კ. რკინისგზის ცენტრალურ კავშირის დატვირთულ ავტომობილიდგან გადმოვარდა ერთი ყუთი და თავზე დაეცა მეეზოვეს მოქ. კარაპეტ ოსიპოვს, რომელიც სასიკვდილოთ იქნა დაშავებული.

— **მტაცებლები.** 11 დეკემბერს, ვანქის ქ. მიმავალ მოქ. ვარდო შაკიევისას ეტლიდან გამოსტაცეს აბრეშუმის მატერიის რიდიკული, რომელშიდაც იყო სხვადასხვა ძვირფასი ნივთები 160 ჩერვონცათ ღირებული.

ხელოვნება

რუსული აკადემიური დრამა.

საჭიროა აღინიშნოს რუსული აკადემიური დასის ინტენსიური და საინტერესო მუშაობა. დასის შემადგენლობა განახლებულია. არიან ისეთი მსახიობებიც, რომელნიც შედიოდან დასის შემადგენლობაში გასულ წლებში. აღსანიშნავია ნიჭიერი მსახიობი ხლობინის, რომელიც ასრულებს ყოფა-ცხოვრების გამომხატველ როლებს. საინტერესოა ვოინაროვსკი.

დასში მოწვეულნი არიან აგრედვე ნიროვი (კომიკური როლები), რომელიც საყოველთაო სიმპატიებით სარგებლობს, ობოლენსკი, ფეოდოროვი (სასიყვარულო როლები), გომაროვი, ბრიანსკი.

ქალთა პერსონალიდან აღსანიშნავი არიან კადმინა (კომიკური ბებერი ქალი და დასის ნიჭიერი პრემიერი ქალი, ბაშკინა (გმირი ქალი). საინტერესოა ანენსკაია, სმირნოვა, არბენინა, კარსანოვა და სხვები.

სეზონი დაიწყო ა. ლუნაჩარსკის ახალი პიესით „განთავისუფლებული დონ-კიხოტი“, სადაც ალეგორიულ ფორმაში დახასიათებულია რუსეთის ინტელიგენციის მოქმედება რევოლუციის დროს.

რეჟისორმა რადოლინმა მოდერნისტული სტილით დასდგა შექსპირის კომედია „ჭირვეულის მოჭკვიანება“.

შემდეგი დადგმებიდან საინტერესოა პიესა „ნიკოლოზ პირველი“, სადაც მთელ რიგ სცენებში მეტად მოხერხებულად აღდგენილია დეკაბრისტების შეთქმულება.

საჭიროა აღინიშნოს ახალგაზრდა მსახიობი ვოინაროვსკი, რომელმაც რუსეთის ყოფილ იმპერატორის ცოცხალი სახე მოგვცა; მსახიობს სწორათ შეუთვისებია იმ დროინდელი გამომეტყველება და დიალოგი.

მეტათ შეუფერებელია სტეპნიაკის პიესა „აისები“.

კარგათ იყო დადგმული ობოლენსკის მიერ რუსეთის დრამატურგის ოსტროვსკის ერთ-ერთი საუკეთესო კომედია „სიღარიბე ნაკლი არაა“. ამ პიესაში აღსანიშნავია ობოლენსკი, რომელმაც სწორ გზიდან ამცდარ, მაგრამ პატიოსან და კეთილშობილ ენტუზიასტის მშვენიერი სახე მოგვცა.

კარგია კადმინა „პელაგეა ეგოროვნას“ როლში. მშვენიერია ხლობინი ვაჭარ გორდეი ტორცოვის როლში.

მოსალოდნელია მთელი რიგი საინტერესო დადგმებისა.

ქველი

დღის თეატრებში

— **სახელმწიფო ოპერა.** „ბალეტი“.

— **რუსთაველის თეატრი.** თურქული წარმოდგენა.

— **სახალხო სახლი.** ქართული წარმოდგენა.

პროვინციაში

საბჭოთა არჩევნები გორის მაზრაში

გორის მაზრაში, რომელიც ადმინისტრატიულად იყო დაყოფილი 18 თემად, მოხდა ხელახალი ადმინისტრატიული გადასინჯვა, დაიყო მაზრა 10 რაიონად, მოხდა გადაჯგუფება სოფლების.

მეორე არჩევნების ჩასატარებლად სამაზრო აღმასკომის და საერთო ხელმძღვანელ ორგანოების მიერ შესდგა სამაზრო საარჩევნო კომისია.

მთელ მაზრაში არჩევნები ადგილობრივ სოფლების და ქალაქების საბჭოებისა დამთავრდა 23 ნოემბრამდე, ხოლო 25 ნოემბერს შესდგა ყველა რაიონებში სარაიონო საბჭოს დელეგატთა ყრილობა; 30 ნოემბერს გაიხსნა სამაზრო საბჭოს დელეგატთა ყრილობა, რომელსაც უნდა დასწრებოდა არჩეულ დელეგატების რაოდენობა რიცხვით 174, დაესწრო კი 148—მათში 83 გლეხი—46 მუშა, 19 მშრომელი ინტელიგენტი; დელეგატთა შორის 111 კომუნისტია და 37 უპარტიო.

30 ნოემბერს სამაზრო მეორე საბჭოთა ყრილობა ქალ. გორში სახალხო სახლში გახსნა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ქურდაძემ, რომელიც მიესალმა ყრილობას და უსურვებს მუშაობის ნაყოფიერება.

არჩეულ იქნა პრეზიდიუმში 17 კაცი: გ. სტურუა, ივანოვ-კავკასიელი, ვ. ქურდაძე, ს. ცხოვრებაშვილი, ა. გიორგაძე, ფსიტიძე, კორსაველი, ბაბიაშვილი, ბაბლიძე ვერა, ვარნაზოვი, აბრამაშვილი, გიგუაშვილი, ბერკაცაშვილი და ცაბაძე. სამდივნოში: მესროფოვი, ქებაძე და ფრანგიშვილი.

სამანდატო კომისიაში: ურიგაშვილი, ცხოვრებაშვილი და ჩხაიძე. საპატიო თავმჯდომარეებათ: ამხ. ლენინი, ტროცკი, სტალინი, კალინინი, ცხაკაია, ორახელაშვილი, ორჯონიკიძე და მიასნიკოვი.

მიღებულ იქნა დღის შემდეგი წესრიგი: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) სამაზრო აღმასკომის ანგარიშები, 3) სასოფლო-სამეურნეო დარგში მორიგი ამოცანები, 4) მორიგი ამოცანები კულტგანმანათლებელ სფეროში, 5) ფინანსიური საგადასახადო პოლიტიკა მაზრაში.

პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა გლეხების სახელით ამხ. ოსეფაშვილმა, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ერთად-ერთი დამცველი მშრომელთა ინტერესებისა არიან საბჭოები—კომპარტიის მეთაურობით

ს. კ. პარ. ცეკას სახელით ამხ. გ. სტურუას მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ყრილობა გადადის საერთაშორისო მდგომარეობს განხილვაზე.

სამაზრო აღმასკომის ანგარიშის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ქურდაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ პირობები, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა აღმასკომს, იყო აუტანელი; ერთის მხრივ მატერიალური სისუსტე, და მეორეს მხრივ მენშევიკების მიერ გაფლანგულ-გატაცებულ ქონების მოგროვება.

გაჯანსაღებულ იქნა მაზრის ადმინისტრაცია, მთელი შემადგენლობის გადახალისებით, იქნა გაყვანილი რამდენიმე არხი, შეკეთებულ და სრულიად ახლად გაკეთებული ხიდები და ბოგირები; აგრეთვე იქნა შეკეთებული შენობები და გზა-ტკეცილები.

სასოფლო-მეურნეობის მორიგ ამოცანებზე მოხსენებას აკეთებს ამხ. გოგოლაძე და აღნიშნავს, რომ მენშევიკურმა მთავრობამ ვერ მისცა მიწა გლეხებს, მიწის რეფორმის გატარება შესძლო მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ. ამის გატარების დროს, თუ არის რაიმე შეცდომები, უნდა გამოვასწოროთ. ეხლა მაზრაში მუშაობს 7 მიწისმზომელი. უნდა მიექცეს ყურადღება, რომ მიწა არ დაქუცმაცდეს. ზოგიერთ სოფლების გადასასახლებლად შესაფერ ადგილებზე, მიღებულია ზომები, ოთხ პუნქტში არის სას.-სამ. იარაღები, რის საშუალებით შეგვიძლია მიწის კულტურულად დამუშავება. უნდა შევქმნათ საჩვენებელი მინდვრები, რასაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს. დიდი ნაბიჯები გადავდგით მეხილეობის გასაუმჯობესებლად. ერთ მთავარ საქმეს წარმოადგენს ხილის კარგი სანერგეების შექმნა. უნდა ვიქონიოთ ამერიკული ვაზის ჯიშის სანერგეებიც. ზოგიერთი ბაღების მოვლა ჩვენ არ შეგვიძლია, ამიტომ გადავცემთ შესაფერ პირებს იჯარით. საჩვენებელ ბაღს კი ჩვენს განკარგულებაში დავიტოვებთ. მებაღეობასთან დაკავშირებულია მეფუტკრეობა, რომლის განვითარებას უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება. განზრახულია სოფლებში უფრო სისტემატიურად გამართვა აგრონომების მიერ საუბრების სასოფლო სამეურნეო თემებზე; სოფლებში გვინდა გავხსნათ ორ კვირიული კურსები, აგრეთვე სკოლები. როგორც ირკვევა ახლო ხანში ჩვენს მაზრაში გამოგზავნიან 30 აგრონომს. მეხილეთა ყრილობა და გამოფენა მოეწყობა ყოველწლიურად.

სახალხო განათლების დარგში მუშაობის შესახებ აკეთებს მოხსენებას ამხ. გაჩეჩილაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ შარშან გაიხსნა და მომავალშიც უნდა გაიხსნას მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები. უნდა მოეწყოს მოძრავი ბიბლიოთეკები, საცდელ-საჩვენებელი სკოლები, სკოლების ქსელი სოფლად უნდა გავაფართოვოთ. მასწავლებლებს არ აქვთ პოლიტ-განათლება, მაგრამ ისინი უნდა ჩავაბათ კულტურულ-მუშაობაში. ექცევა ყურადღება მოწაფეთა თვითმმართველობას, მოწაფეები არ აკლდებოდნენ გაკვეთილებს და სხვა...

ქოხ-სამკითხველოებს დიდი მნიშვნელობა აქვს; პოლიტგანის განყოფილება არის ქვე-განყოფილება განათლების განყოფილების.

საგადასახადო პოლიტიკის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბადრიაშვილი.

სამაზრო აღმასკომში არჩეული იქნა 13 პირი: 1) ვ. ქურდაძე, 2) ცხოვრებაშვილი, 3) გოგოლაძე, 4) გიორგაძე, 5) ფსიტიძე, 6) აბრამაშვილი, 7) ჩხაიძე, 8) ნადირაძე, 9) კორსაკელი, 10) ლომაძე, 11) დევდარიანი, 12) გვერწითელი და 13) მამასახლისოვი.

კანდიდატებათ: ცხოვრებაშვილი ალექსანდრე და მამასახლისოვი.

დელეგატებათ: სრულიად საქართველოს საბჭოს ყრილობაზე 33 ამხანაგი.

კორ-ინ.

შეფობა სოფ. ქვემო-გომზე.

ა.-კ. რკინისგზის სტამბის მუშებმა აიყვანეს თავის შეფობის ქვეშ ს. ქვემო-გომი. ეს სოფელი მდებარეობს სადგურ კასპიდან ოთხი ვერსით, მტკვრის გაღმა და გაშენებულია მტკვრის ნაპირას. კვირას, 9 დეკემბერს ამ სოფელს ეწვია საშეფო კომისია, შემდგარი შემდეგი ამხანაგებისაგან: ვ. ინაური, რ. მანდრიცკი და ს. ალექსანდროვი. მათ მოუტანეს ადგილობრივ სკოლის მოწაფეებს შემდეგი საჩუქრები: 110 ცალი რვეული, 50 ც. ფანქრები, 39 ც. კალმისტარი, ერთი ყუთი კალმები, 27 ც. სხვადასხვა ქართული წიგნი, 4 ც. ჟურნალი, 7 ბოთლი მელანი. კომისიამ გამოუწერა ქართული გაზეთები „კომუნისტი“ და „მუშა“, რომლებსაც სისტემატიურად უკვე ღებულობენ.

კომისიამ მიზნად დაისახა იხმაროს ყოველივე საშუალება, რათა დააკმაყოფილოს სოფლის კულტურული მოთხოვნილებანი.

ორიოდე სიტყვა სოფლის საჭიროებაზე, რომელსაც აუცილებლივ უნდა მიექცეს ყურადღება. აქ არის სკოლა, მაგრამ ის უფრო დუქანს ჰგავს, ვიდრე სკოლას. მოწაფეთა რიცხვი ამ სკოლაში დაახლოვებით 90-ია. სკოლის ჰასაკის ბავშვები კი ორჯელ მეტია. სკოლის ასაშენებელი ადგილი საუცხოოა თავისი მდებარეობით. მცხოვრებნი თხოულობენ მხოლოდ ხის მასალას, სხვა ყველა ხარჯებს თვით კისრულობენ, აგრეთვე თხოულობენ, რომ მათ სკოლას დაენიშნოს კიდევ ერთი მასწავლებელი, ვინაიდან ამდენ მოწაფეებზე ერთი მასწავლებელი საკმარისი არ არის, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ დიდებიც არიან მსურველები, რათა ისწავლონ წერა-კითხვა.

ამიტომ საშეფო კომისიამ უნდა მიიღოს ყოველივე ზომა, რათა დააკმაყოფილოს სოფლის ეს მოთხოვნილება. მაშინ იტყვიან გლეხები, რომ მათზე მართლაც ზრუნავენ ქალაქის მუშები.

მუშა ინ—რი.

სენაკის მაზრა.

მდ. აბაშის ჩანჩქერებზე ჰიდროელექტრონის სადგურის ასაშენებლად მუშაობის საზეიმო დაწყება დანიშნულ იყო 29 ნოემბრისათვის. საგანგებოთ ამისათვის მოწვეულ იყვნენ ცენტრიდან ამხანაგები: მიხა ცხაკაია, მამია ორახელაშვილი, სერგო ორჯონიკიძე, საშა გეგეჭკორი და ბესო ლომინაძე. დილის 12 საათზე სად. აბაშაზე მატარებლიდან გადმოვიდნენ ძვირფასი სტუმრები. მათ დახვდენ სამპარტკომის მდივანი ამხ. მაკარი ბედია და სამაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. მამულია. მიუხედავათ კოკისპირული წვიმისა, სადგურ აბაშა გაჭედილ იყო აუარებელი ხალხით; საგანგებოთ იყო მოწყობილი დაწესებულებები; მუშა-მოსამსახურენი და მოსწავლე ახალგაზრდობა იყვნენ დარაზმული სადგურის უკან მოედანზე. მიტინგს მიესალმენ ამხ. ცხაკაია და სერგო ორჯონიკიძე, რომლებმაც წარმოსთქვეს სიტყვები. შემდეგ ხსენებული ამხანაგები გაემგზავრენ მარტვილის მიმართულებით მდ. აბაშის ჩანჩქერებზე, მაგრამ წვიმებისა გამო გაჩერდენ მარტვილში, ჩანჩქერებზე ასვლა შეუძლებელი იყო. მარტვილში საღამოს მოხთა სახალხო სახლის გახსნა ამხ. საშა გეგეჭკორის სახელობაზე ხალხი დაესწრო აუარებელი; შენობა ვერ დაიტია საზოგადოება და უმეტესობა გარედ დარჩა. სახალხო სახლის მნიშვნელობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვეს ამხ. ამხ. მიხა ცხაკაიამ, ორახელაშვილმა, ორჯონიკიძემ, გეგეჭკორმა, ბესო ლომინაძემ, მამულიამ და მ. ბედიამ. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მათ სიტყვას.

მეორე დღეს წვიმამ გადიღო. თუმცა მდინარეებმა წალეკა არემარე და მდ. აბაშის ჩანჩქერებზე გასვლა ძნელი იყო, მაინც ჩამოსული ამხანაგები დილის 10 საათზე უკვე იქ იყვნენ. ჩანჩქერებზე დახვდათ ახლომახლო რაიონების გლეხობა და გამართული იქნა მიტინგი, რომელსაც დაესწრო სამი ათასზე მეტი კაცი. მიტინგზე ამხ. მიხა ცხაკაიამ ილაპარაკა ელექტროფიკაციის მნიშვნელობის შესახებ. ხალხი ტაშით ეგებება რევოლიუციის პიონერს. ამავე თემაზე ილაპარაკეს ორახელაშვილმა, ორჯონიკიძემ, გეგეჭკორმა, ლომინაძემ, მამულიამ და ბედიამ. ყველამ ხაზი გაუსვა ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მნიშვნელობას ჩვენი ჩამორჩენილ ქვეყნისათვის და მოსთხოვეს ხალხს თავისი წვლილის და შრომის გაღება ამ დიადი საქმისათვის. ხალხმა ერთხმად ფიცი მისცა საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებს, რომ არ დაზოგავენ თავიანთ თავს ამ დიადი საქმისათვის. თვით ორჯონიკიძემ და ორახელაშვილმა ბარებით ხელში ამოთხარეს მიწა და ამით საძირკველი ჩაუყარეს სადგურის მუშაობის დაწყებას. ხალხმა იგრიალა ვაშას ძახილით. საძირკველის ჩაყრის შემდეგ მიტინგი დაიხურა და ხალხი დაიშალა. ვინაიდან საღამო ჟამი იყო, სტუმრები დარჩენ მარტვილში. ამხანაგები ორჯონიკიძე და ლომინაძე გაემგზავრენ აბაშის სადგურის მიმართულებით ბათომისაკენ. მეორე დღეს 1—დეკემბერს სტუმრები გაემგზავრენ ახ. სენაკისაკენ, სადაც იმ დღესვე იხსნებოდა სამაზრო მუშ. და გლეხ. დეპუტატების საბჭოთა მეორე ყრილობა. საზეიმოთ შეხვედრა სტუმრების საპატივცემოთ მოწყობილ იქნა მშრომელებისაგან გზა და გზა, მაგრამ განსაკუთრებული შეხვედრა გამართულ იქნა ნოქალაქევის და ძვ. სენაკის რაიონებში და თვით ქ. სენაკში. ჩვენი უფროსი ამხანაგები დარწმუნდნენ, რომ მშრომელ გლეხობას თავის ინტერესების დამცველათ მიაჩნია მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური პარტია.

უკვე საღამოს 7 საათი იყო, როდესაც ამხანაგები ესტუმრენ ქ. სენაკს. სენაკი იყო საგანგებოდ მორთული. აუარებელი ზღვა ხალხი, რომელიც შესდგებოდა ახლო-მახლო თემების მშრომელებისაგან, მუშა-მოსამსახურეებისაგან, რკინისგზელებისაგან და ახალგაზრდობისაგან, ვაშას ძახილით და ტაშის ცემით შეხვდენ ჩვენ ძვირფას სტუმრებს. მუსიკა უკრავდა ინტერნაციონალს. იქვე ლიბკნეხტის მოედანზე ტრიბუნაზე ადის ამხ. ცხაკაია, მისი დანახვა იწვევს ხალხში აღტაცებას და ისმის ხმის გრიალი—ვაშა, ვაშა. ამხ. მიხა ამბობს იმ შთაბეჭდილებებზე, რომელიც მან მიიღო მდ. აბაშის ჩანჩქერებზე, ამბობს ელექტრონის სადგურის მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა გაიღებს თავის სალაროდან ყველაფერს, რომ გამარჯვებით დაგვირგვინდეს სადგურის აშენება, მაგრამ მარტო მთავრობა უძლურია ხალხის დაუხმარებლად, საჭიროა მშრომელმა ხალხმა გაიღოს თავისი წვლილი და შრომა, რომ შეერთებული ძალით დავსძლიოთ ბუნებას და გამოვიყენოთ მისი დიადი ძალა—სინათლე.

ორატორს აჯილდოვებენ ტაშის გრიალით, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. შემდეგ ტრიბუნაზე ადის ამხ. მამია ორახელაშვილი, რომელიც ესალმება ხალხს ამიერკავკასიის საბჭოთა მთავრობის სახელით—ის აღნიშნავს დიდ ენერგიას, რომელიც ჰქონია სამეგრელოს მშრომელ გლეხობას, რომელმაც გაიღო დიდი მსხვერპლი სამოქალაქო ომის დროს მენშევიკებთან ბრძოლაში. შემდეგ ამხანაგი მამია გადადის გერმანიაზე, აშუქებს უკანასკნელ ამბებს გერმანიაში, სოც.-დემოკრატიის ღალატს და აღნიშნავს გერმანიის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას. ორატორის სიტყვები იფარება ვაშას გრიალით.

შემდეგ ლაპარაკობს ამხ. გეგეჭკორი. ის ლაპარაკობს ელექტრო სადგურის მუშაობის სიძნელეზე, დაწყებული საქმე უნდა დავაგვირგვინოთ შეერთებულ ძალ-ღონით. ამ თემაზე აგრეთვე ლაპარაკობს ამხ. ს. მამულია. ბოლოს მიტინგი იხურება. ძვირფასი სტუმრები მიდიან საბჭოთა თეატრში, სადაც ღამის 9 საათზე იხსნება სამაზრო მუშათა და გლეხთა დეპუტატების მეორე ყრილობის საზეიმო სხდომა. საზეიმო სხდომის შემდეგ უფროსი ამხანაგები ესწრებიან ყრილობის მეორე დღის სხდომებსაც; შემდეგ კი საღამოს 6 საათზე მიემგზავრებიან ტფილისში.

ვ. შალ—ძე.

ჩვენი ფოსტა

ამხანაგ კამოს სახელობის საღამოს კურსების მსმენელს ინფ. „მსმენელს“—შემოიარეთ რედაქციაში (რუსთ. ქ. 24).

ამინდი ამიერ-კავკასიაში

12 დეკემბერი, დილის 7 საათი

ტემპერატ. (ცელსიით): ფოთში.... 7 გრ., ბათომში... 11 გ., სამტრედიაში.... 7 გრ., ჭიათურაში... 4 გრ., ბორჯომში.... 0 გრ., ტფილისში.... 2 გ., ერევანში.... 0 გრ., ბაქოში.... 9 გრ.,

ღრუბლიანობა: ბაქოში-მნიშვნელოვანი; ჭიათურაში—ძლიერ დიდი. დანარჩენ ადგილებში — სრული.

ქარის ქროლა: ბათომში და ბაქოში—სამხრეთ-აღმოსავლეთის, მსუბუქი; სამტრედიაში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, გრიგალი. ფოთში იმავე მიმართულებით, ნელი: დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

ნალექი: ნელი—წვიმა [illegible] დილით, ხოლო ბათომში—[illegible] **ზღვის მდგომარეობა** [illegible] ფოთში და ბათომში სიწყნარეა. ქოში—მსუბუქი ღელვა.

ამინდი საქართველოში: მოღრუბლულია გრილა, ნელი [illegible] შავი ზღვის განაპირა ადგილებ

ჩრდილოეთ-კავკასიაში

(12 დეკემბერი, დილის 7 საა

კავკაზი: ტემპერატურა... 8 საგრძნობი ღრუბლიანობა,—ქარ ქრის.

პარტიული და საბჭოთა კალენდა

პარტიული

პარტიაში შემოდიან.

ს. კ. პ. ტ. ორ. ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ქვემოხსენებულმა ამხანაგებმა ცხადება შემოიტანეს საქართველოს კომპარტიაში შემოსვლის სურვილის შესახებ. რაიმე საწინააღმდეგო საბუთები აქვს მათ წინააღმდეგ, გთხოვთ წარმოუდგინონ რაი (რუსთველის პროსპ. № 22).

1. მარიკოვა ალექსანდრა, ამხ. ლენინის ფაბრ. ქარხ. უჯრ., 2. ნარჩიმაშვილი ნე—მე-3 სტამბის უჯრ., 3. ზარიძე ალექსანდრე—ექსპედიციის უჯრ. 4. პისკლოვი რია—ცეცხლის მქრობელთა რაზმის უჯრ. 5 სადაგიშვილი მიხეილი—მე 4-სტამბის 6. ქაბალოვი ავეტიქ—სამხედრო კომისარიატის სტამბ. უჯრ. 7. გორგიაშვილი მიხე 1-ლი სტამბის უჯრ. 8. რაფალსკი ბორისი—მე-4 სტამბის უჯრ. 9. ადამია ბაგრა 1—ლი სტამბის უჯრ. 10. დოლონაძე დავითი—„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბ. უჯრ. კაჩარიანი შაქრო—ცენტ. პარტკ. უჯრ. 12. ბარახოვიჩი იოსები—მეტყავეთა უჯრ. ტრუბაჩევი ნიკოლოზ—ცეცხ. მქრ. რაზმ. უჯრ. 14. არუტიუნოვი ავაქ.—სახ. ქალ. მექსპედ. უჯრ. 15. აბრამაშვილი ნიკოლოზი—სახალხო კავშირის უჯრ. 16. ოგანეს ავეტ.—ცენტ. პარტსკოლა ფაბზავ. სამოსწ. უჯრ. 17. გეგელი—სახ. კომის. საბჭოს 18. ლიშჩინსკი—ქალაქის აღმასკომის უჯრ. 19. მინასიანი გარეგინ—ქალაქის ფურნის 20. ბარჩუკოვი პეტრე—№ 27,№ 21. მარკარიანი—მუშები—ტფ. აღმასკომის უჯრ. მალხასიანი პეტროს—აღმასკომის უჯრ. 23. ზურნაჯიან სვიმონ ტფ. აღმასკომის უჯრ. ჯაფარიძე იოსებ—ქალაქის ფურნის უჯრ. 25. სმიტნიცკი ალექსანდრე—№ 25. 26. დე გიორგი—სახ. კომის. სამხ. უჯრ. 27. თევდორაძე შალვა—ტფ. აღმასკომის უჯრ. ოხიკიანცი ოჰანეზ—სახლ. კომის. საბ. უჯრ. 29. ბასილაძე სერგო—ქალაქის მილიციის 30. ოგანოვი ვასო—„ზარია ვოსტ“. სტამ. უჯრ. 31. ფედორენკო ნინო 32. ლი ფეოფილაქტე. 33. განჯელოვი სარქის 34. ლობადენკო სერგო.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი ნაცკვეიძე

ს. კ. პ. ტფ. კომიტეტის (2) საქმეთა სამმართველო იუწყება:

1. მორიგი ტელეფონი ნაშუადღევის 3 საათის შემდეგ არის 14—57.
2. ტელეფონოგრამების მიღება იქვე ყოველ დროს.
3. პაკეტების მიღება, ნაშუადღევის 3 საათის შემდეგ, იქვე (მე-3-ე სართულ ლერეიაში).

— დღეს, 14 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია გაერთიანებ კრება მბეჭდავთა ყველა უჯრედებისა.

დღის წესრიგი: „ჩვენი პარტიის ახალი ამოცანები“.

სავალდებულოა დასწრება პარტიის ყველა წევრებისა და კანდიდატებისა.

მბეჭდავთა გაერთიანებულ უჯრედების პასუხისმგებელი მდივანი შახნაზარო

— ს. კ. პ. ტფ. ორგ. ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ხის მ ველობაში მომუშავე ყველა კომუნისტებს (დურგლებს, ხურეებს, მეკასრეებს და სხ რომლებიც აღრიცხულნი არიან ქალაქის რაიკომში, რეგისტრაციაში გაიარონ ქალა რაიკომის საალრიცხვო განყოფილებაში, სამი დღის განმავლობაში.

პასუხისმგებელი მდივანი ნაცკვეიძე.

განცხადებები

ბარნაბა და ტიხონი ბართლომეუ ძენი ქეიშვილები, ათინა ბართლომეს ასული მებუკისა და ფაციკო ბართლომეს ასული კალანდარიშვილისა აცნობებენ ნაცნობთ და მეგობართ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძაშვილის მედიცინის დოქტორის და ფარმაც

მაგისტრის პროფესორი

პარმენ ივანეს ძე ჭეიშვილის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქალაქ ხარკოვში 9 დეკემბერს.

270—2—2

დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრა ორი ობლებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას 11 საათზე ვერის სასაფლაოს ეკლესიაში

მუხრან ხოჭოლავას

გარდაცვალების ერთი წლის თავზე გადახდილ იქნება პანაშვიდი.

2—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 14 დეკემბერს

ბალეტი

1. კოპპელიუსის დედოფალა
2. ლისტის პრელიუდიები

ხვალ, 15 დეკემ. პროფკავშირებისათვის მეფის საცოლე

ნის. 778—5—3 კვირას—თავადი იგორი

საქ. სახალხო ბანკის ქუთაისის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 23 დეკემბერს, კვირას, დილი 12 საათზე, ბანკის ბინაზე, ქ. ქუთაისში, საბჭოთა ქუჩაზ

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

„უნიონის“ სისტემის დინამო-მანქანისა, მუდმივი დ ნის, ბორბლით, ტოტადი აღძვრით 95 მალ. დინამო, რომელიც დაგირავებული იყო რაჭის სამაზრო აღმასკომის მიერ, იყიდება ვალდებულების 6 და 8 ჰარ. ძალით, დროზე გამოუყიდველობის გამო.

თავნი ვალი 233,49 ჩერვონეცი, რომელსაც დაერიცხება პროცენტები და სხვა ხარჯები.

გაცნობა ვაჭრობის პირობებისა და მანქანის ნახ შეიძლება ბანკის ბინაზე, ყოველ დღე, 10—2 საათ., გარ და კვირა-უქმისა.

778—5—1 სახ. ბანკის ქუთაისის განყოფილება.

დაკარგა პირადობის მოწმობა № 29 | 2733 მიღებული თელა თის თემის აღმასკომისგან 30 აგვისტოს ბაგრატ გიო გის ძე გარუჩავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 276—1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 289 მიცემული 28 ივლისს 1922 წელს შეკეთებულ მუშის მე-5 უბნის. დედ მართა სიმონის ასულის გუდაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 277—1—1

„ზარია ვოსტოკას“ ტიპ. სახ. წყლ. № 4 [illegible]